გურამ მოლაშხია

გაფრენილი ნლები

გურამ მოლაშხია

გაფრენილი წლები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

© გ. მოლაშხია, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**", **2022**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-269-2

უკვდავ ადამიანთა პატივგება

წინამდებარე წიგნის ავტორი, პოეტი გურამ მოლაშხია დაიბადა 1938 წლის 1 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში. ხეცერის 8-წლიანი სკოლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის გემო-კვების საკავშირო ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარმატებით. მუშაობდა აგრონომად, ეკონომისტად, მთავარ ეკონომისტად, სხვადასხვა პარტიულ თუ სამეურნეო თანამდებობებზე. მან ცხოვრების საკმაოდ რთული გზა გამოიარა, არ უღალატია თავისი მრწამსა თუ პრინციპებისათვის. იგი ბოლომდე დარჩა ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგული.

პუტჩისტებისა და მეხუთე კოლონის სულგაყიდულთა მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ პროტესტის ნიშნად არსად უმუშავია და თანამოაზრეებთან ერთად დაუცხრომლად იღვწოდა და იბრძოდა უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ. წლების მანძილზე იყო „თავისუფალი საქართველო – მრგვალი მაგიდის“ წევრი. 2002-2004 წლებში იყო „ეროვნული თანხმობის“ წევრი, ხოლო 2012 წელს აქტიურად მონაწილეობდა არსებული რეჟიმის კანონიერად მოშორებისათვის ბრძოლაში.

მისი შემოქმედებითი ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდებოდა რაიონისა და რესპუბლიკურ ბეჭდვით მედიაში. თანამშრომლობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთებში:

„აღდგომა“, „ბურჯი“, „კახათი“, „ეროვნული თანხმობა“, „დარჩელი“ და სხვ.

პოეტმა 2004 წელს გამოსცა ლექსთა კრებული: „უცვლელი გული“, 2012 წელს – „ცხოვრების გზა“. 2014 წელს გამოვიდა ამერიკელი დეტექტივისტის რაიმონდ რანდლერის წიგნისა („მკვლელობა წვიმიან ამინდში“) და 2017 წელს ინგლისელი მწერლის ედგარ უოლლეს წიგნის („ტერორისტთა მეფე“) მისეული თარგმანები. იმავე, 2017 წელს გამოვიდა პოეტ გურამ მოლაშხიას როგორც ორიგინალურ, ასევე თარგმნილ ნაწარმოებთა რჩეული.

ამჟამად, 2022 წელს მკითხველს მიეწოდება გურამ მოლაშხიას ბოლო და ადრეულ წლებში დაწერილ ლექსთა კრებული „გაფრენილი წლები“.

ფიქრთა ფიარად...

ბატონი გურამ მოლაშხია ახალი კრებულით წარსდგება მკითხველთა წინაშე, იმ ლექსებით, რომლებიც ხანდაზმულობის ფიქრთა და განცდათა ზიარია, უმეტესად ტკივილთა ამოკვნესება, რომელსაც ვერ გაქცევია უნდობარი ბედის უსამართლობით და გული არაერთგზის ასცრემლებია. თუმცა მასზე ბევრად უმცროსი ძმის, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონი ზაურ მოლაშხიას გარდაცვალება უკიდეგანო მწუხარებად შესცრემლებია მის დამძიმებულ სვეს. მთელი კრებული ცხოვრების გრძელი ჯაჭვია, ტკივილებად თუ განცდათა რგოლებად ასხმული. აქა-იქ კანთიელად გამობრწყინდებიან ნათელი წერტილები, სადაც ფრესკულად ჩნდება მზიანი სახე ამ ნათელი კალმოსნისა.

ნებისმიერი წიგნი შემოქმედის ბიოგრაფია, მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ანარეკლია, წინამდებარე კრებულიც ავტორისეული ფერებითა და ყოფიერების ფუნჯით დახატული ტილოა, რომელიც გულგრილს არ დატოვებს ერთგულ მკითხველს.

გურამ მოლაშხია ეროვნული მოძრაობიდან მოსული ადამიანია, კანონიერი ხელისუფლების უღალატო მხარდამჭერი და ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგულად მიმდევარი. მისი ცხოვრებისეული გზა ამ ნათელი შუქითაა მოსილი და შემოქმედების საწიერში საინტერესო შტრიხებად იკვეთება ეს მოვლენები. მისი პოეტური საგანიც ამ უკიდეგანო გან-

ცდებიდან მომდინარეობს და ამიტომაც გამხდარა ასე საინ-ტერესო და საგულისხმო!

მჯერა, ბატონი გურამის ახალი კრებული ადვილად შეაღწევს მკითხველთა გულებში და იპოვის იმ მგზნებარე ად-გილს, რომელიც ადვილად არ ამოიშლება და დავიწყებას არ მიეცემა.

ბედნიერება ვუსურვოთ წიგნსა და მკითხველს!

ლაშა გვასალია

გული მწარედ მტკივა

ძმას ზაურ მოლაშხიას

ქარია და ირხევიან რტოები,
ქარია და ცოტაოდენ ცივა.
მახათას მთამ მიიბარა პოეტი,
ვაი, ძმაო, გული მწარედ მტკივა.

წახვედი და მე დამტოვე ეულად,
ძირს დაეშვა ცად აჭრილი აფრა.
შენ გიმსხვერპლა კორონამ წყეულმა,
უხორცო, უღვთო ჯალათის მსგავსად.

შორით ტირიან დები, მეგობრები,
ცრემლით სველი აქვთ თავსასთუმალი.
მწარედ მოსთქვამენ, ვითარცა ობლები,
სამეგრელო და აბასთუმანი.

რა მოკლე ყოფილა წუთისოფელი?
ვინ უწყის, ღმერთს როდის მივებარებით?
სულ გახსოვდა მამის დანაბარები:
„...არ შემარცხვინო...
იყავი მხნედ და..“
შენ ამ ღირსებით იარე ქვეყნად...

დაგრჩა ბევრი ლექსი უთქმელი,
არქივი, ფურცლები ფერმიხდილი.
სხეულის გარეშე სიცოცხლეს მოველი,
ვერას დაგაკლებს უღვთო სიკვდილი.

ქარია და ირხევიან რტოები,
ქარია და ცოტაოდენ ცივა...
მახათას მთამ მიიბარა პოეტი,
ვაი, ძმაო, გული მწარედ მტკივა.

2021

ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲙᲕᲓᲔ ᲚᲝᲒᲘᲜᲨᲘ ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲓ

მე მინდა მოვკვდე ლოგინში წყნარად,
რათა მქონდეს ტკბილი ძილი მარად.

სახე კი დამრჩეს ოდნავ ფერმკთალი
და უსიცოცხლო, მიმქრალი თვალი.

მაგრამ არ მინდა მე ჯერ სიკვდილი,
სანამ გულთან მაქვს ბრძოლა, ჭიდილი.

მე მინდა ვიყო შეურიგალი,
და სული მქონდეს ვითარც გრიგალი,

რომ მქონდეს ძალა უზარმაზარი,
დავაწყებინო ავსულთ ზანზარი.

იმათ რისხვად და... ჩემ გასახარად,
სანამ დაკრავდეს ბოლო ნაღარა.

სანამ გაფრინდება სული წმინდა,
სანატრელი ხმის მოსმენა მინდა.

ჩამესოს გულში ვითარც მახვილი
გამარჯვების ყიჟინა-ძახილი.

და ჩემს სხეულზე გაითქარუნონ,
ამ ჩემი სულის სასიხარულოდ.

ნიავი ჩუმად ვით დარხეული,
სულს გასცილდება ჩემი სხეული.

ზეცას აეკრება ვით არშია,
და ცისარტყელას შვიდფრად გაშლიან.

2021

ქართველი ქალი

ქართველი ქალი მუდამ იყო მხნე და გულადი,
მტერ-მოყვარეს ის ხმლით და თასით ეგებებოდა
და მას მუდამ გაშლილი ჰქონდა სუფრა პურადი,
თუმცა მას წესით შვილის აღზრდა ევალებოდა.

და ეს წესი დღემდე არავის არ წაუშლია,
გენიდან გენში ვით არწივი ჩვენში ნავარდობს.
ზედ აღმართული მძლავრი მკლავი არ დაუშვია
და დღეს სამშობლოს თუ დასჭირდა, სიცოცხლეს
დათმობს.

2021

იესო

შენი სიკვდილით სიცოცხლე იხსენ და ამაღლდი ზეცად,
შენი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ დღესაც მწამს და მჯერა.
თუმცა სატანა სატანობს, უნდა გაგვითელოს რწმენა,
მაგრამ იცოდეს! – ხალხი ბრძენია, ვერ გაგვთელავს, ვერა!
ამბობენ, სუდარის ნაცვლად სიყვარული შემოგხვიესო,
ჩემი ცოდვისთვის ტანჯულო, ჩვენო ღმერთკაცო იესო.
ვლოცულობ ხელაპყრობილი და ასე იქნება მარად...
მჯერა, რომ შენი ლოცვა-კურთხევა კვლავაც დაგვიფარავს.

ᲔᲡ ᲡᲐᲬᲣᲗᲠᲝ ᲜᲔᲚᲐ ᲒᲐᲓᲘᲡ

შემოდგომის ეს დღეები
ნელა მიდის, მიდის მდორედ,
ამ ცხოვრების სიმწრის გამო
აქ სიმშვიდე ველარ ვპოვე.

თითქოს ქარი ნელა დაქრის,
მაინც არხევს ნუშის რტოებს.
შენზე ფიქრი მუდამ თან მსდევს,
წამითაც კი ველარ მტოვებს.

მზემ დაკარგა თავის ძალა,
მცხუნვარება დამბუგველი,
ეს საწუთრო მწარედ გავვლე,
აწ სიხარულს აღარ ველი.

თითქოს ყვავი თავს დამჩხავის
და იფრქვევა თითქოს შხამი,
მისგან ნერვი აშლილი მაქვს,
ვერ ვისვენებ ერთი წამით.
ბედთან ბრძოლით და ჭიდილით
ეს საწუთრო ნელა გადის.
2021

ო, როგორ მინდა...

როგორც მინდვრად უპატრონო ცხენი,
მარტოდ ვდგავარ ფიქრების ამარა.
რა ულიმღამოდ გადის ეს დღენი?
უიმედობამ როგორ დამღალა.
ვაი, სოფელო, რა ტვირთი მადევს?..
(მწარე ფიქრებმა გული დაღარა)
წუთისოფელს დავტოვებ ხვალ ან ზეგ,
აგუგუნდება გლოვის ნაღარა.
ისე, ვით წვიმის წვეთები ციდან,
ცრემლი წამოვა შენი თვალიდან,
ო, როგორ მინდა...
ო, როგორ მინდა...
ის ცრემლი ვნახო ჭუჭრუტანიდან.

2021

სამშობლოს

ბევრი სიმწარე, ბევრი ხალისი,
ბევრი ტკივილი გულს გაგჩენია,
შენი რუსთველის, შენი თამარის,
ღვთისმშობლის ლოცვას გადურჩენიხარ.

მხნედ და ამაყად დღეს ისევ დგახარ,
ვით ბედაური ფაფარაშლილი,
იმ მოწამეთა სულები გფარავს,
შენი შვილების სისხლი დაღვრილი.

2021

ᲛᲐᲛᲐ

ადრე წახვედი, დამტოვე მარტო,
ოჯახის ტვირთი ამკიდე ტვირთად.
მე იმის შემდეგ დღემუდამ ვდარდობ —
მითხარი, მამი, თვალი თუ გტკივა?..

დედაც წავიდა, ახლა ერთად ხართ,
ჩვენზე გაწვალებთ დარდი და ფიქრი...
ვაი, უმცროსი ძმა რომ წავიდა,
ალბათ უფროსი დაც მალე მიდის.

იქ, როცა ერთად შევიკრიბებით,
ჟამი დადგება წყნარი და მშვიდი,
ნუღარ იდარდებ... შტო არ მთავრდება,
მომავლისაკენ სულ წინ-წინ მიდის.

2021

მარად იცოცხლებ

„მე მჯერა ხორცის გარეშე სიცოცხლის“
ტერენტი გრანელი

„მე მჯერა ხორცის გარეშე სიცოცხლის“,
ეს რჩეულ გენიოსთა ხვედრია...
ყველამ გაიგოს,
ყველამ იცოდეს,
რომ შენი სული დღესაც ნავარდობს
და უკვდავება გარს გახვევია.

სიცოცხლეშივე უფლის წყალობით,
შენ ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგი,
სული მიწაზე დიდხანს წვალობდა,
ველარ გაუძლო...
ზეცად გაფრინდა.

ფრენა გინდოდა, –
გაფრინდი კიდეც...
შენ არ გინდოდა სიცოცხლე
და არც გინდოდა სიკვდილი...
არც მომკვდარხარ,
მარად ცოცხლობ,
და დაფრინავ კიდით-კიდე,
შენ იცოცხლებ მანამ, სანამ,
სანამ ცოცხლობს კაცთა მოდგმა
დედამიწა ბრუნავს ვიდრე.

2021

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ჩემო თბილისო, მართლაც ჭაღარავ
(ცათამბჯენები ზეცას სწვდებიან),
და რომ არ იყოს ეგ ნარიყალა,
ბებერი რომ ხარ, ვერც მიხვდებიან.
2021

* * *

მიყვარს, დილით როცა
მზე წითლად ამოდის...
მინდა ლექსები ვთქვა
მაგრამ... არ გამომდის.
2021

ᲣᲤᲐᲚᲡ ᲨᲔᲕᲗᲮᲝᲕ...

სული შფოთავს, სული ღელავს,
სული შენში ნავარდობს.
სულმა შენმა გიღალატა,
დაბრუნდება? — არასდროს.
მე ამიტომ დავალ კენტად
და თავთან მაქვს ჭიდილი.
უფალს შევთხოვ... ამარიდოს
სიცოცხლეში სიკვდილი.
2021

არის ფარსი

ეს ცხოვრება ისე გადის,
ვერ გაიგო მისი არსი.
ვინ შეგიკრავს გვირგვინს დაფნის?
ეს საწუთრო არის ფარსი.
2021

თხა ვიყიდე...

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე,
ვერ ვნახე მისგან ხეირი...
ზედ ჩემს თავთან ჯალათი დგას,
ხელში ბასრ-ხმალამოღერილი.

ვალს მთხოვს, უნდა გადავიხადო,
არა მაქვს მეტი საშველი,
უფლის გარდა არვინაა
ახლა ჩემი მშველელი.
2021

დიდგორი

იმ შენს დიდებას დრო ვერ დაჩრდილავს,
შთამომავლობას სანთლად ენთება.
იმ საოცრებას, ვიცი, ნამდვილად
ყავლი არასდროს არ დაედება.
2021

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ

ვზივარ მარტოდ, როგორც ნისლი
თავს მეხვევა ფიქრები,
ამ ადგილას სხვა დაჯდება,
როცა მე არ ვიქნები.

აქ სხვა ვარდი, სხვა ბალახი
აქოჩრდება, ამოვა.
მე რომ წავალ, არ ვიქნები,
ამ ადგილას სხვა მოვა.

სხვა ოცნება, სხვა ფიქრები,
სხვა მიზნები გაჩნდება,
როცა მე აქ არ ვიქნები,
სხვა მოვა და დაჯდება.

... მაშ რას ვიზამთ? ასე არის
უფლისაგან დათვლილი,
მთავარია, აღარ დარჩეს
თავისუფალი ადგილი.
2021

* * *

შენს საფლავზე აწვიმს, ათოვს
ცრემლიანი მწარე დარდი.
სულუთქმელი შენს ტაძარში
შენი სული ჩუმად დადის.
2021

* * *

ქუჩა-ქუჩა, ღობე-ღობე,
დავრბოდი და ვხტოდი ოდეს...
მივადექი ახლა კბოდეს, -
აწ იმედი რისი მქონდეს?..

დედულეთი

ჩემო კოხტა დედულეთო,
კორცხელო და ბაში,
ვცდილობ ვიყო შენი ღირსი
და არ დავრჩე ვალში.
და მეგრულო ოდასახლო,
რამდენ სიტკბო მასვი.
დედაჩემი აქ დარბოდა,
როცა იყო ბავშვი.
ძილში ხშირად მესიზმრები,
გონებაში ჩამრჩი.
2021

ᲒᲖᲐ

ჩემი სოფლის ვიწრო გზაზე
ჰაუ... რამდენი მივლია?..
ეს გზა ჩემთვის ფართო არის
და ყველაზე დიდია.
აქ დავრბოდი ფეხშიშველი,
აქვე არის ნატერფალი,
ჩემ ცხოვრების გზა-მიზანი,
ყველაფერი აქვე არი.
ამ გზაზე მუდამ ვცდილობ,
ვიყო თავთან მე მართალი.
თუმცა... დღემდე ვერ ვპოვე
ქვეყანაზე სამართალი.

2021

აღსდექ, ქართველო!

აღსდექ, ქართველო,
მუდამ გახსოვდეს,
ნუ დაიჩოქებ
ნულარასოდეს.

არ მოქცეულხარ
არასდროს ულირსად
და არ შეგშინებია
წითელი ულლისა.

რომ არ მივაგოთ
პატივი წინაპრებს,
უფლება არ გვაქვს,
წალკოტის ბინადრებს...

მათ არ სჩვეოდათ
სხვის ჩექმის ქვეშ წოლა...
ჩვენ შემხედვარეს
ტანთ დაუვლით ჟრჟოლა.

ვინც ამჯობინებს
დღეს გვერდით დგომას,
ის იქნება მუდამ
თავ ლაფდასხმული,

მას ვერას არგებს
აქ უქმად ჯდომა
და მას შერისხავს
ერი, მამული.

დღეს ჩვენი ცხოვრება
არის რთული, მძიმე,
მაგრამ მომავალი –
შუქმოციმციმე.

ჩვენ ამ სიძნელეს
თუ შევეჭიდებით,
მერმისი შეგვმოსავს
სახელით, დიდებით.

ჩვენ ამ ბრძოლებში
დავიხოცებით
და გაჩნდებიან
პატარა ბორცვები.

როგორც ღირსეული
ამ ქვეყნის შვილები,
ჩვენ წინ დადგებიან
თავქუდმოხდილები.

2021

პასუხს ვეძებ

ნეტავ, იქ თეატრი არის?

კახი კავსაძე

როგორ ჩუმად მომეპარა
ეს ოხერი სიბერე.
ცოტა – ტკბილი,
ცოტა – მწარე,
ბევრი შხამი ვიგემე.
ო, ეს გული ისევ ურჩობს,
ვერ იჯერებს სიბერეს,
ვერ ჩერდება,
ველარ ყუჩობს,
ვერც სიმშვიდეს იფერებს,
სულ იმავეს იმეორებს,
ვით პატეფონი – სიმღერებს;
საწუთროდან როცა წავალთ,
რა იქნება იქ – მერე?..
….. … .. .. …. .. ..
ამ კითხვაზე პასუხს ვეძებ, –
ალბათ იქაც დავწერ ლექსებს…

2021

„ᲨᲐᲚᲘᲙᲣᲜᲐ“

ეს შალიკო, შალიკუნა,
ჯიუტია როგორც ვირი.
პოლიტიკა მას არ შვენის,
როგორც ძროხას უნაგირი.

„ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲨᲔᲛᲫᲚᲔ“

ოო, როგორ გაბერილა,
ეს „ყოვლისშემძლე“ გუბაზი.
სააკაშვილის ქება მას
ენაზე ბუზივით აზის.

ᲡᲐᲓᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ?..

სადმე არის ასეთ ერი?..
პარტიები ასე ბევრი.
ჭკუა მოკლე, ენა გრძელი,
დარიგებით მათ ვერ შველი.
ისე ჩუმად იკბინებით,
როგორც შემოდგომის ბუზი.
ენა კი აქვთ შხამზე მწარე,
თავში ვერაფერი უზით.
2021

მელია

სოროში შეძვრა მელია,
ახლა ამოსვლა ძნელია.
მეგობრები თან არიან,
მაგრამ ვერაფერს შველიან.
ტურა, მგელი, მაჩვი, მელა
შეგროვილან ერთად ყველა.
იხტიბარს კი არ იტეხენ,
თუმც მაინც აქვთ თვალი სველი.
შემზარავი მწარე გლოვად
ერთხმად იძახიან: – არსად
არავინაა წამსვლელი,
იქვე თავსაც გასწირავენ,
მონადირე თუკი მოვა...
.. ..
ეს ამბავი ასე არის,
და ასე იქნება ხვალაც...
მონადირე მოვიდა და
ის ღრმა ორმო ამოთხარა...
მელა წაიყვანა თანა,
მეგობრები არსად ჩანან!..

2021

ᲒᲗᲮᲝᲕ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔ ...

ღმერთმა მოგვცა ჭკუა-გონი,
გეშრომა და გეხალისა.
რა ვქნა?.. ახლა, ასე მგონი, –
შენ აწვები დედამიწას.

ცოცხალი ხარ, თუმცა მკვდარი
სახელითაც გჯობნის ახლა...
გთხოვ დაფიქრდე ერთი წამით,
საწუთროდან სანამ წახვალ.
2021

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲓᲘ...

როცა გამოვცდი გორაკებს, გვირაბს,
იმერეთი გულგაშლილი შემეგება...
თითქოს ვხედავ სამეგრელოს მირაჟს
და თვალწინ დამიდგა ზღაპრული მშვენება.
2021

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

მამაჩემი დილით – ადრე,
ლეღვს დაკრეფდა მწიფე – ცვრიანს,
დაგვიწყობდა მაგიდაზე –
...ახლა მამის ხსოვნა ჰქვია.

ნუ შეგვეშინდება

კორონა ვირუსი სახუმარო როდია?..
იგი ემუქრება
მთელ მსოფლიოს მოსპობით.
ხილულ მტერთან
ბრძოლა ბევრჯერ გვქონია,
ახლა უხილავ მტერთან გვაქვს
ფარული ომი.

მთავარია გავუძლოთ,
ნუ შეგვეშინდება...
თუმცაღა არა გვაქვს და
არც ჩანს სხვა გზა მეტი...
და, თუ ჩვენ მშვიდად ვიქნებით,
წილხვედრ ქვეყანას
მამაც თეთრხალათიანებთან ერთად
გადაარჩენს და
დაიცავს უფალი-ღმერთი.

2021

ᲞᲝᲔᲢᲘ

ძმას ზაურ მოლაშხიას

ამ ცხოვრების მძიმე გზაზე
შენ ეს ტვირთი მხრებით ზიდე...
პოეტი ხომ არ მოკვდება,
დედამიწა ბრუნავს ვიდრე.

იგი იღვწის, იგი იწვის,
იგი სულის მალამოა,
იგი არსად აღარ მიდის,
თუ წავიდა, კვლავაც მოვა.

იგი სულის მკურნალია, –
თუა სულში რამე ხინჯი;
იგი მუდამ შენთან არის
და შენს იქით ველარ მიდის.

ლექსებს თხზავს და ღელავს, შფოთავს...
განა ფიქრობთ ადვილია?..
მისი ყველა სიტყვა-სტროფი,
სიკეთისთვის გათვლილია.

2021

მინდა ვთქვა

კონსტანტინე გურგულიანს

ო, რა მოკლეა
წუთისოფელი...
და ბედის ძაფი როდის გაწყდება?..
ალბათ, ამქვეყნად
როცა მოხვედი,
სხვაგვარი იყო ვარსკვლავთა წყება.

მაგრამ იცხოვრე
ლაღი ცხოვრებით,
ბობოქრობდი და მუდამ იღვწოდი.
შენი გავლილი
წელი ყოველი
ვითარც სანთელი ნათლად იწვოდი.

ცოტა იცხოვრე
შენ ამ ცხოვრებით,
მაინც დატოვე ნათელი კვალი.
მინდა ვთქვა და,
ყველამ იცოდეს, –
არ დაგრჩენია მეგობრის ვალი.

2020

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ

სამეგრელოს მინდორ-ველი,
ბორცვები და გორაკები,
ხელგაშლილი ისე მხვდება,
როგორც უნახავი ძმები.

აგერ ხეთას ჩავუქროლე,
სენაკი და ხობის შემდეგ.
ზუგდიდს გულში ჩავეხუტე,
უმაგისოდ განა შევძლებ?..

წალენჯიხა, ჩხოროწყუ და
მარტვილი და დიდი ჭყონი.
რიონი და ეს ენგური,
როგორც ვეფხვი, ისე მორბის.

მინდორ-ველებს ვეფერები,
სიყვარულით და ოცნებით,
მურზაყანებს გადავძახებ:
მეგობარო, მე მოვედი!

ეხ... წარსული მწარედ ახსოვთ,
ღალიძგას თუ ჩემს უმპიას...
განშორების სევდა კლავთ და
გულში კი ცეცხლი უნთიათ.

მწარე ფიქრი მუდამ თან მდევს,
არ მშორდება, გულს მიღრნიან,
ვით ავდარში, როგორც წვიმა,
ღვარისებრ თვალიდან მდიან.

მაგრამ... მჯერა, როგორც ადრე,
აყვავდება მინდორ-ველი.
გაბრწყინდება საქართველო,
სიზმრად არა... ცხადად ველი.

და ეს გულიც გაიხარებს,
გაფრინდება მაღლა ზეცად
და... ხმამაღლა შემოვძახებთ,
ხმაშეწყობით ყველა ერთად.

...ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურია და სამეგრელო,
აფხაზეთო, სამაჩაბლო,
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთო. –
ყველას ერთად,
ყველას ერთხმად...
ერთხმად გვეთქვას,
საქართველოს სადღეგრძელო.

2020

ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲘᲕᲘᲬᲧᲔ

ვნახე ქუჩაში... და იცით როგორ?
სადაც ირეოდა უამრავ ხალხი,
მიგოგმანებდა ლამაზი გოგო,
თავზე ეხურა თავშალი თალხი.

მას გავაყოლე ბებერი თვალი,
გულში მომაწვა ძველი ნაღველი,
ჩვენ გვაშორებდა წელი მრავალი,
თუმცა დღესაც ღვივის სხივი ნათელი.

ვინ იცის, ახლა სად დაგოგმანობ?..
ანდა დაფორთხავ ახლა ჩემსავით ?..
ვერ დაგივიწყე წლებისა გამო,
ახლაც ანათებ გულში მზესავით.

2020

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

რეზო ხასიას ხსოვნას.

შენ იყავ ჩია, ტანად დაბალი,
მაგრამ გქონდა დიდზე დიდი გული
და მეგობრებმა შენ სიყვარულით
დაგარქვეს სახელად -ეროვნული.

მკერდით ატარებდი ზვიადის სურათს
და მუდამ ხელთ გეპყრა შინდისფერი დროშა.
შენ ეს სახელი მარად დაგრჩება,
შენი ამქვეყნად არყოფნის დროსაც.

2020

სამშობლო ერთადერთია

სამშობლო – დიდი მცნებაა,
სამშობლო – ერთადერთია
სამშობლო – გულის ვნებაა,
სამშობლო – ყველაფერია.
სამშობლო ვისაც არ უყვარს,
იგი ბრიყვი ან შტერია.

2020

ო, რა ყოფილა ახალგაზრდობა!

როგორ გაფრინდა ახალგაზრდობა,
თმას შეერია უკვე ჭაღარა,
მაგრამ გულს ახსოვს პირველი გრძნობა, –
წლების სიმრავლემ ვეღარ დაღალა.

პირველი კოცნა... ბავშვური გრძნობა...
ეს ყველაფერი... ეს იყო გუშინ,
იმ სიყვარულის მე დღესაც მჯერა,
ახლაც ფათურობს უცვლელად გულში.

ო, რა ყოფილა ახალგაზრდობა!..
სიბერეს ვეღარ იჯერებს გული.
ვიცი, რომ ერთ დროს უფალი მოვა
და დადგება ჟამი დასასრულის.

და გაფრინდება სული ზეცაზე,
სხეული დარჩება ცოდვილ მიწაზე.
ამ საწუთროში ბევრი ვიწვალე,
რათა ამ სულს უფალი იცავდეს.

ᲛᲔᲪ ᲛᲥᲕᲘᲐ...

ამქვეყნად მოვედი,
ამ მიწაზე შევდექ...
რუსთაველის შემდეგ,
გალაკტიონის შემდეგ, –
მეც მქვია პოეტი!..
2020

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ...

ფოთოლხშირ უღრან ტყეში,
ფესვებძლიერ მუხას ვგავარ.
დედამიწის მთავარ ღერძი
ჩემთვის არის, სადაც ვდგავარ.
2020

ᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ...

სიზმრად დავფრინავ ზეცაზე
და ღმერთთან ტკბილად ვსაუბრობ.
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე
ასარჩევი მაქვს – რა უფრო?
2020

ყოველ დილით...

ყოველ დილით მზე ამოდის მთიდან,
საღამოობით თავს იხრჩობს ზღვაში
და დილის ნიავს როცა შევიგრძნობ,
მე ვიცი, რომ ცოცხალი ვარ მაშინ.

2021

თოვლი...

თოვლი მოსულა ფანტელი,
დრო დაგვიდგა სანატრელი.
გადათეთრდა მინდორ-ველი,
თეთრ სიმღერას ჩუმად მღერის.

2021

ვიცი მე...

დილა თენდება,
ციმციმებს
ჯერ კიდევ ცაზე ვარსკვლავი...
ჩემზე რომ ფიქრობ, –
ვიცი მე...
ასე ვიტანჯოთ, –
სანამდე?

2020

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ჩვენ ძმები ვართ;–
მეგრელ, სვანი, ქართლელი,
აფხაზი და მაჩაბლელი,
გურული და აჭარელი,
რაჭველი და ლეჩხუმელი,
კახელი და ჯავახელი...
ყველას ერთად,
ყველას ერთად,
ჩვენთა ბედად...
გვქვია ერთი,
ერთი სახელი – ქართველი.

2020

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲥ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲑᲐ

არ მშორდება შენზე ჭმუნვა,
არ მშორდება შენზე დაგვა,
და... მე თუ დღეს რამე თუ ვარ,
ყველაფერი შენგან დამყვა.

შენგან დამყვა ეს სიმხნევე,
დღეს მე თუ ასე მხნედ დავალ...
სიყვარული აქ დამრჩება,
როცა ღმერთთან მაღლა წავალ.

2019

ვაი-ქართველს...

ნაცებს და მის ნასხლეტებს

ღრუბელ-ღრუბელ რო დაფრინავთ,
აქ ჩამოდით მიწაზე...
თქვენი მოღალატობანა
თავიდანვე ვიწამე.

თქვენ ჯურღმულში უნდა იჯდეთ
და კარს გედგათ დარაჯი.
სამაჩაბლო არ იკმარეთ
და გაყიდეთ გარეჯი.

ნეტა, დედა ღმერთს რას ეტყვით,
როცა მის წინ წარდგებით?..
ვაი-ქართველს... მე რა ვუთხრა,
ვინც მათ გვერდით დადგებით.

2020

ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ

ღმერთო, მომეცი გაძლება
ამ უბედურების ცქერისა.
აირია ეს ქვეყანა,
გვეწია წყევლა მტრებისა.

ღმერთს ვუღალატეთ, გავწირეთ,
ჩვენ წინამძღვარი ერისა.
სატანამ გონი წაგვართვა
და ვერ ვგრძნობთ ნათებას მზისა.

ძმად დავიყენეთ ურჩხული,
მფრქვეველი ალი-ცეცხლისა.
მან კი ცხვრის ქურქი ჩაიცვა,
გული კი დარჩა გველისა.

გამოყო ბასრი კლანჭები,
როცა ის ზურგზე შეისვა.
ისე იქცევა, ზვიადის
„ზღაპარი მორიელისა“.

2019

რა დამრჩენია სხვა?..

ზეცას გავყურებ, ვარსკლავებს, შორეთს,
სულში წარსულის ფიქრები მათოვს.
ო, ეს დრო გადის ჩუმად და მდორედ,
გარდასულ წლები ცხადივით მახსოვს.

მახსოვს ბავშვობა და სიჭაბუკე,
გავლილი წლები, შრომა და გარჯა,
დედის ალერსი და სიფაქიზე,
იგი მხოლოდ მოგონებად დამრჩა.

გამოვიარე რთული, ძნელი გზა,
თუმცა უკვე ვარ დიდი ბაბუა.
უფალს ვუცდი, რა დამრჩენია სხვა?..
გამომიძახებს, ადგილი თუა.

2019

ისევ აყვავდა...

ისევ აყვავდა ირგვლივ
ალუბალი და ნუში
და ტკბილი ჰანგები დილის
მედება ნაზად სულში.

2019

ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ

მიეცი ჩემს ერს სიმხნევე,
სმენა, სინათლე თვალისა,
გაძლება უბედურების,
სიმტკიცე რკინა– რვალისა.
გარედან რასაც გვახვევენ,
იმის აცდენას თავიდან...
მთელი ძალით გავყვირივართ, –
ეს უბედურება არ გვინდა!..
სატანა მაინც სატანობს,
ზიზღით გვაფურთხებს სულში
და მინდა ყველამ გაიგოს,
ის ვინცა ვართ, -ღმერთმა უწყის.
არავის მივცემთ უფლებას,
რომ კვლავ გვაფურთხონ სულში,
ჩვენ ისევე ის ვიქნებით,
რანიც კი ვიყავით გუშინ.

2019

თენდება დილა ნელა

სადღაც შორს აფრინდა გნოლი,
იქვე ხეზე შაშვი გალობს.
გაზაფხული ნელა მოდის,
ყველაფერი ირგვლივ ხარობს.

ეზოებში ჩუმად, ნელა,
ეკიდება ცეცხლი ატმებს.
თითქოსდა მათ უნდათ შველა,
დასტრიალებს შაშვი ბარტყებს.

და თენდება დილა ნელა,
ეფინება სხივი ტატნობს.
მხიარულობს ირგვლივ ყველა
და გაზაფხულის მზე მათბობს.

ყველაფერი ბრწყინავს ირგვლივ,
შევყურებ და ჩუმად ვნატრობ...
ეს საწუთრო ნელა მიდის.
მე კი ვრჩები თითქოს მარტო, –
ფიქრები კი შენკენ მიქრის.

2019

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲬᲐᲕᲐᲚ...

ღვინო არ მიყვარს, –
ო, სმა კი...
მეგობრებთან ერთად ლხინი.
ღამის თევა ვეღარ დამღლის,
ეშხი თუ დგას შავი ღვინის.
მოლხენა და ტკბილ სიმღერა,
გულში, სულში, როცა ღვივის. –
მავიწყდება ეს სიბერე,
არად ვაგდებ გულის ჩივილს.
ღმერთო, მომეც ძალა-ღონე,
ვილხინო და ვინეტარო,
სანამ წავალ ამ ქვეყნიდან,
იმ ქვეყანას მივებარო

2019

* * *

მუზა არ მომდის,
მუზა არ მომდის...
მაგრამ მწამს იგი,
მუზა რომ მოვა...
ო, მაგრამ როდის?-
როცა უფალი
ინებებს თოვას.

მამა მთავარი – სახელი ღმერთის

ყველა პოეტი ლექს უწერს დედას
და მომღერალიც მღერის დედაზე.
ხელაპყრობილი შევედრის ზეცას, –
დედა ლოცულობს ჩვენზე ყველაზე.
მამა თითქოსდა აღარ გვყოლია,
თუ გაიელვებს აქა-იქ კენტად.
მასზე ფიქრი გულს გამოყოლია.
მაშ, ლექსს რად არ ვწერთ მამაზე ნეტავ?
განა არ გვიყვარს?.. ღმერთია მოწმე,
მისი სახება მუდამ თან გვდევს.
მამა არ იყო?.. ის ვინმე მოყმე,
სიცოცხლის ფასად თავი რომ დადეს?..
დედა სამშობლო,
დედა ენა და...
ო... სალოცავი ეს დედამიწა...
(მას ყველას ქვია სახელი დედის).
მთავარია ის, რაც გვწამს და ვფიცავთ, –
მამა მთავარი– სახელი ღმერთის.

2019.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ...

ო, ბევრი ვნახე მე ამ ცხოვრების,
სიმწარე თუ სიხარული.
მუდამ თან მდევდა ყოველთვის გვერდით,
რაც დავიწყე სიარული.
წლები გავიდა, მახსოვს ბავშვობა,
სიცელქე და აღმაფრენა.
ო, როგორ მინდა კვლავ დამიბრუნდეს
სიხარული თუ ბავშვური წყენა.
განვლილი მრავალი წლის შემდეგ
ვაჯამებ და ვავსებ დავთარს...
უფლის ნებით დღემდე ვცოცხლობ
და უფლის ნებით ამაყად დავალ
და თუკი დამრჩა კიდევ სავალი, –
დავტკბე სილამაზის ცქერით.
და... თუ გავლიე დღენი მრავალი, –
უფალო ჩემო,
მადლობის გარდა,
მეტი რა მეთქმის.

2019

აქ გვრჩება მხოლოდ..

დიდო უფალო!..
გვაპატიე ყველას,
რაც ცხოვრებაში ჩვენ დავაშავეთ...
და ისე, ვით შვილს
აპატიებს დედა,
როცა განსაცდელ ჟამს ითხოვს შველას.

უფალმა მოგვცა
გონი და ფიქრი
და ამ ცხოვრების აზრი – მიზანი...
ო, ეს საწუთრო
უეცრად მიდის,
ისე ვით ღამის ტკბილი სიზმარი.
აქ გვრჩება მხოლოდ
(ყველამ ეს ვიცით)
სახელთან ერთად
კუბოს ფიცარი.

2019

ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ...

მოღორებული მე დავრჩი შენგან, –
თითქოსდა მესმის
ჩუმი ჩურჩული.
ირგვლივ ნიავიც წამითა შედგა,
გულში კი რჩება
ეჭვის ბურუსი.

ზედ ავიხედე,
ჩემი ვარსკვლავი
წასულა შორს, შორს და კენტად მოჩანს,
და მე შენ გარდა არ მყავს არავინ,
ველარ ვჩერდები,
მარტო ვარ როცა.

დღისით მზეს ვფიცავ,
ღამით კი – მთვარეს,
ცად მოჭედილ უამრავ ვარსკვლავებს...
გთხოვ, ჩემო კარგო, მითხარი რამე,
უდროოდ ვიდრე
დარდი მომკლავდეს.

ცოდვილი გული სანამ ფართხალებს,
როგორც მინდორში დაჭრილი ჩიტი...
ვერ გამიგია,
რატომ მაწვალებ?..
რა დავაშავე,
ისიც არ ვიცი!

2019

იმას არ ვფიქრობთ...

ჰა, იწურება ეს ერთი წელი,
მოდის ქირსე და მოდის კალანდა*.
გვიხარია და... იმას არ ვფიქრობთ...
წლები გვაკლდება, გვეკრის რკალადა.

რას ვიზამთ, რასა, ღმერთი და რჯული
(ეს რომ ასეა ყველამ ვიცით).
სუფთაა ჩემი დაღლილი სული,
ამისთვის მთელი სიცოცხლე ვიღვწი.

2019

*ქირსე– კალანდა(მეგრ), შობა-ახალი წელი

ᩮᩬᩮᩬᩮᩬ

აღარ უწყიან...

როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, –
მაგრამ ვიქნები
შენთან ფიქრებით,
დაგიკოცნიან შუბლს თუ თვალებს,
ყოველ ცისმარე, –
დღისით თუ ღამე,
თუმცა არავინ აღარ უწყიან...
როდის იქნება-
გვიან თუ ადრე?

2018

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ვწევარ ჩემთვის,
თვალებს ვახელ. –
თავქვე მიდევს სასთუმალი.
მენატრება
შენი სახე
და ძველი აბასთუმანი.

მენატრება
მის ბორცვები,
ღელე – პატარა უმპია.
ის მუზაა
ჩემ ოცნების,
რაც ფიქრებში განმიცდია.

მისი მწვანე
მინდორ-ველი,
წითელ-ყვითელ-ლურჯ ფერები...
ვით სალოცავს
მიდევს ხელი,
მას ვეტრფი და ვეფერები.

2018

დროა – იქნება?..

მწვანე ფოთოლზე სხივი ლივლივებს,
და... სიწყნარეა ირგვლივ კი ჩუმი.
გვირილა იქვე კისერს იღერებს,
მხოლოდ მის სუნთქვა არღვევს დუმილს.

მზე ამოცოცდა ტატნობზე ნელა,
ააფერადა მიდამო ირგვლივ,
თითქოს სიცოცხლე ჩაჰბერა ყველას,
უხვად არიგებს ოქროსფერ ღიმილს.

რა ლამაზია დილა მზიანი,
ირგვლივ სიცოცხლის ჰანგი იღვრება.
იქნებ ასრულდა ჩემი მიზანი,
და... ჩემი წასვლის დროა – იქნება?..

201

უკვდავი სული...

კრწანისის ველზე ლანდები დადის, –
იმ ავბედ დროის უკვდავ გმირების...
მათ არასოდეს გაუვათ ყავლი
და უკვდავია მათი სულები.

2018

ᲡᲣᲚᲝ, ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲘ...

სულო, გაფრინდი ზეცაში მაღლა,
რადგან ამ ყოფას ვერ ეგუები,
რადგან დაგეტყო სიმძიმე, დაღლა,
უსამართლობის ცქერით – ყურებით.

რამდენ ხანს უნდა ითმინოს გულმა
ამ ცხოვრების მოპყრობა უხეში?..
ვერ აიტანა ფაფუკმა სულმა
და ის გაფრინდა მაღლა ღრუბლებში.

2018

ᲒᲣᲚᲘ ᲩᲘᲕᲘᲡ

ოთხმოცი წელი
ვაგე ტაძარი...
ვიგემე ბევრი
ლხინი და ჭირი...
ბევრი მინდოდა, –
ვერ მოვასწარი,
გული ამიტომ
ჩივის და ტირის.

2018

ვარსკვლავებს ვუმზერ...

ვარსკვლავებს ვუმზერ, აკინძულს მძივად,
და იქვე ღამე კამეჩივით წევს.
ალბათ ახლა, სადღაც შორს არ სძინავს
და თავის ჯადოსნურ სხივს აფრქვევს მზე.

გულში კი ღამეა – ღამე წყვდიადი...
ახლა შენ თუკი მიშველი მარტო.
მესალბუნება გრძნობა დიადი,
ვარსკვლავებს ვუმზერ – გულში კი ვნატრობ.

შენს სიახლოვეს მამყოფა ნეტა?-
მერე, რაც გინდა მიყავი, ღმერთო...
მე წავალ მაღლა, მაღლა – იქ შენთან,
ბედკრულ ქვეყნისთვის ვილოცოთ ერთობ.

ვარსკვლავებს ვუმზერ, აკინძულს მძივად,
მალე მზე ააფერადებს ტატნობს
და ახლა სადღაც შორს მზეს არ სძინავს, –
მის ბრწყინვალეებას მამულში ვნატრობ.

2018

ᲕᲘᲖᲝᲜᲔᲑ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ...

მე ამ ცხოვრებამ გამწირა ერთ დროს,
ვხეხე ციმბირის ვრცელი ტრამალი.
უსამართლობის ხუნდები მედო,
რაც მოგონებაში დამრჩა აქამდის.

აუტანელი – ძლიერი ყინვა...
გულში კი მენთო ტრფიალის ალი.
მის დავიწყება აქამდე მინდა,
მან ცხოვრებაში დატოვა კვალი.

ვიგონებ იმ დღეს და... ვფიქრობ შენზე,
დღესაც მინთია ის ალი მწველი...
თითქოს ვდგავარ ციცაბო თხემზე, –
მშველელს შენ გარდა არავის ველი.

წლები გავიდა, სიბერის ჟამი
დადგა, გული კი იგივე დამრჩა...
გარდასულ წლები თითქოსდა – წამი
და... შეუმჩნევლად გაფრინდა სადღაც.

2018

კოლხურო ენავ...

მეგრულო ენავ, ენავ სვანურო,
დიდო ლაზეთო...
კოლხურო ენავ, ენავ იბერთა, –
ენავ საღმერთო...
დღეს უარყოფილს, თუმცა უფლის ლოცვით
შენ ხარ – მდიდარი...
შენნაირ წმინდა, მხნე და ამაყი, –
აბა ვინ არის?..

2018

თვალჭვიტია ბოკერია

შენ მითხარი რომელია,
თვალჭვიტია ბოკერია...
უმალ ფეხებქვეშ გაგთელავს,
ოდნავ თუკი მოგერია.

თაღლითი და მძრომელია,
ეს ოხერი ბოკერია.
მისი თავი მუდამ ავის
შემქმნელი და მშობელია.

2018

ᲛᲬᲐᲛᲡ

ყოველი დღე, ყოველ წუთს,
ყოველ საათს,
ყოველ დღე, ყოველთვის
ყოველ ჟამს...
ვიღებ იმედით გავსებულ თასს,
რადგან შენი გამარჯვების მწამს.

მწამს...
მთელი გულით, –უფლის დიდების...
არ მიგვატოვებს ის ამ მძიმე ჟამს.
დაგვიფარავს და ფარქვეშ ვიქნებით...
მე ეს ვიცი, მე ეს მჯერა და მწამს.

2018

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მეცხვარე ვარ, ფარას ვდევნი,
თავზე მხურავს თუშის ქუდი.
მიყვარს პატარა ბატკნები,
ვეფერები და მას ვუვლი.

ავდარში ან თუგინდ დარში,
უკან მივყვები ცხვრის ფარას. –
ჩემი ბომბორა მურია
მუდამ გვერდით მე თან მახლავს.

ბუნებით ვტკბები, ვმღერივარ,
და... ჩემს ბედს აღარ ვემდური,
ერთგული მეგობრებია
მურია და სალამური.

2018

მე მოვედი...

მე მოვედი ამა ქვეყნად,
რომ გამევლო ხნულში კვალი!..
საწუთროდან როცა წავალ,
მრჩება მხოლოდ შენი ვალი.

2018

საუკუნის მიღმა დავდივარ

ცხოვრება მიდის...
ის მეფერება.
თავზე მევლება,
როგორც გადია...
მე საუკუნის
მიღმა დავდივარ, –
ჩემთვის არავის
დღეს არ სცალია.

2018

ვიდრე...

ვიდრე სიბერე მე მომაკითხავს,
სანამ სიკვდილი მომიღებს ბოლოს...
მინდა, უფალო, ერთი რამ გითხრა:
შენთვის ვილოცებ მხოლოდ და მხოლოდ.

2017

ᲐᲛᲐᲦᲐᲛ

ამაღამ ალბათ ვერ დავიძინებ,
და მე ვიქნები ფიქრებთან მარტო.
გარეთ ყინული ქსოვს ბროლის მძივებს,
სულში კი მწარე ფიქრები მათოვს.
2017

ᲕᲓᲐᲠᲓᲝᲑ

ჩემს ეზო-კარს ვინ მოუვლის,
ეყოლება მას პატრონი?..
ვენახები და თხილნარი
როს დარჩებიან მარტონი.

და ნუთუ ეს ყველაფერი,
დარჩება ბედის ამარა...
როცა წავალ, არ ვიქნები,
როცა შევკრავ მე კამარას...

უფალს კი მხოლოდ ერთსა ვთხოვ,
მომცეს მე ცოტა გაძლება,
ჩემი ფიქრი და მიზანი,
სანამდის არ ამიხდება.

2017

ნუთუ...

ბევრი ვიშრომე,
ვხანი და ვთესე
(რაც გავაკეთე, უფლის მადლია).
ამ სიბერის ჟამს
თუ ვერ შევძელი, –
ნუთუ ლუკმა პურს დამამადლიან?..

2017

უკვდავი გვარდია

თქვენი რიგები მცირდება,
ისე, შაგრენის ტყავივით.
ღმერთმა ნუ ქნას და... დრო გადის, –
მალე თითებზე დაგითვლით.

თქვენი სახელი უკვდავი,
უქრობ სანთლებად ანთია.
მუდამ მწყობრში ხართ, ამაყად
მიდიხართ „უკვდავი გვარდია“.

ვეტერანებო ომისა,
თქვენ წმინდა სისხლი დაღვარეთ...
თქვენი სიკვდილით – სიცოცხლე
შეუნარჩუნეთ პატარებს.

2017, 9 მაისი

ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲒᲣᲚᲘ...

ხანდახან გული მწარედ გამკენწლავს, –
გვიახლოვდება უღვთო სიბერე...
ცოდვილი სული ზეცად ამიტანს, –
ალბათ ვმღერივარ ბოლო სიმღერებს.

2017

ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲬᲘᲠᲐᲕᲡ

ჭექა-ქუხილმა ზეცა მოიცვა,
ზეცით ჩამოდის წვიმა სვიანი.
ირგვლივ მიდამომ თალხი ჩაიცვა
და ქუში გახდა ეს დღე მზიანი.

ქარი კი ხეებს წეწავს და ამტვრევს,
თითქოსდა დადგა ის ბოლო ჟამი,
გულში აღვივებს ჯერ უცნობ განცდას,
ველარ ჩერდება ვერცერთი წამით.

მაინც იმედი სადღაც კიაფობს,
იმედის თვალით გავყურებ სარკმელს.
თითქოსდა ქარი ზღაპარს მიამბობს,
ხვალინდელ დღე კი იმედით მავსებს.

ვიცი, უფალი აღარ გამწირავს,
ის განსაცდელში აღარ დაგვტოვებს,
და თავის ფრთებით კვლავაც დაგვიცავს,
შვილებს მოგვხედავს და გვიპატრონებს.

2017

იცოდეთ!..

ჰეი, თქვენ... ულმერთოებო...
ცხოვრების ხორცმეტებო!..
თავისუფლებისათვის
მათ დაკარგეს სიცოცხლე.
თქვენ კი...
თქვენ კი დაკარგეთ
არნაქონი სინდისი...
დღეს კი ღალატისათვის
ისინი ვერ მოგთხოვენ,
მაგრამ...
უფალი კი
არ გაპატიებთ,
იცოდეთ!..

2017

ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია

თუ საქებია?– იგი ღმერთია!
არ ვიცი შუღლი, არ ვიცი ჭორი...
ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, –
ბინძურ ტყუილსა და მართალს შორის.

2017

ᲡᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ

რაც სიკეთე ვთესე ქვეყნად,
ზოგი რისხვით მიბრუნდება...
და წვიმის დროს, როგორც ზეცა,
ჩემი ზეცაც იქუფრება.

ვერ ავიტან ამდენ ბოღმას,
ასე მე ვინ გამიმეტა?..
ჩემი სული, ასე წმინდა,
წმინდად მივა მაღლა ღმერთთან.

ჩვენ ვართ მგზავრი წუთისოფლის,
ვიდრე ფეთქავს ჩვენი გული...
სიცოცხლე კი წამი არის,
სულია მარადიული.

2017

ᲝᲗᲮᲘ ᲩᲘᲜᲐᲠᲘ

ვუყურებ მთვარეს, ოდნავ მცინარი,
გულში ეშვება ოთხი ჩინარი;

ერთი კი შენ ხარ და შენი გული,
მესამე მე ვარ და – სიყვარული.

1958

შემოდგომა

შემოდგომა იმკის იმას,
რაც კი გლეხმა მასში ჩადო.
ოფლით, შრომით მოიპოვა
წლის სამყოფი უხვი სარჩო.

უხარია, რომ უყურებს
მაჯის სიმსხო ვაზის ღეროს,
თითქოს ჩვილი ბავშვი იყოს
და სურს ნაზად მოეფეროს.

მას უყურებს როგორც პირმშოს,
გულს ედება ამო სითბო.
ადღეგრძელებს ძველ მეგობარს,
თვალწინ უდგას ახლა თითქოს.

შემოდგომა – ეს ის დროა,
რომ მთელი წლის ნაჯაფს იმკის.
ირგვლივ ფერთა სიუხვეა,
სიყვითლე კი ჭარბობს თითქმის.

მიწას დაჰკრავს მუქი ფერი,
მას დაეტყო თითქოს დაღლა.
გლეხი გულში ჩუმად მღერის, –
დასვენების დროა ახლა.

ზამთარი კი მოვა მალე,
დაგვახურავს თოვლის საბანს.
ველარ ვივლით სუსხში გარეთ,
თოვლყინული არის სანამ.

და... კვლავ, ღმერთის ნებით,
ყველაფერი ამწვანდება.

ირგვლივ ყველა გაიხარებს,
ბალ-ატამი აყვავდება.

ამღერდება გაზაფხული,
ზაფხული კი ნელ ბანს მისცემს,
შემოდგომა ფერხულს დაკრავს,
ზამთარი კი – დაგამშვიდებს.

2017

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲟᲚᲔᲠᲓᲔᲡ

პატარა ხარ, ჩემო ერო,
სიმრავლით და ოდენობით,
თორემ ისე, დიდზე დიდი,
შემართებით და გონებით.

ლაზ-სვანურო და მეგრულო,
იბერულო, ენავ ჩვენო...
ძმურ ოჯახში მუდამ ჟღერდეს,
საქართველოს სადღეგრძელო.

2017

მშობლიური მიწა მივლიდა.

მე ისევ ის პატარა ბიჭი ვარ,
ოცნებით, ფიქრით გულანთებული...
მე მშობლიური მიწა მივლიდა,
მის დასაცავად დავანებული.

2017

არსად შეგვეშალოს

მეუღლეს

ოთხმოცი წელი იცხოვრე ქვეყნად, –
ორმოცდაათი ერთად გავლიეთ...
და ამ ცხოვრების ურთულეს გზებთან
ტკბილი და მწარე ბევრი დავლიეთ.

უკვე ბადიშებსაც მოვესწარით,
შვილთაშვილებიც ბევრი ვიხილეთ.
გარდასულ წლებზე ნულარ ვიდარდებთ,
დროა, მომავალზე რომ ვიფიქროთ.

ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიჯაფეთ,
შვილები ვზარდეთ, შვილიშვილებიც...
რას ვიზამთ, ღმერთის ნებაა ალბათ,
ცხოვრების ფინიშამდე მივედით.

მომავლის იმედს ნულარ დავკარგავთ,
და ნურასდროს ნუ მოგვეშალოს...
როგორც ადრე, დღესაც, მტერ-მოყვარე,
ერთმანეთთან არსად შეგვეშალოს.

2017

„ᲠᲐᲡᲐᲪᲐ ᲒᲐᲡᲪᲔᲛ, ᲨᲔᲜᲘᲐ“

ხანდახან გული მწარედ ფიქრდება,
გახედავ გავლილ მძიმე და რთულ გზას,
ძილის შემდეგ ჰგავს გამოღვიძებას
და სიზმარს, რომელსაც ვერ ეტყვი სხვას.

შორს, შორს გახედავ გონების თვალით,
რომ გაიგო, რა გამოგრჩა კიდევ?
ღრმად ჩაფიქრდები თითქოსდა წამით,
გულს ვერ ასვენებს ეჭვები მძიმე.

ველარ ქენი ის, რაც უნდა გექნა,
და ვერ იხარა თესლმა, რაც თესე. –
ღმერთმა ამიტომ ასეთი შეგქმნა,
შენს თავზე მეტად გეზრუნა სხვაზე.

ეს ყველაფერი ძალზე ძნელია,
(თუმცა მონდომება საქმის გულია).
იცოდე... „რასაცა გასცემ, შენია“,
თუ არა – დაკარგულია.

2016

ვუმზერ ზეცას...

მე მირჩევნია აქ ყოფნა,
ვარ ამ ბაღნარის ბინადარი.
მე სხვა სამოთხე არ მინდა
და არასოდეს ვინატრი.

ვუყურებ ზეცას – მოწმენდილს,
შორით მთას, ახლოს მდელოსა.
ვერ შეველევი ამ მიწას
და ამ ჩემს საქართველოსა.

მიყვარს ეს ჩემი აღმართი,
ყოველ დილით რომ ავდივარ,
როცა მას ველარ ავივლი,
ჩათვალეთ, უკვე მკვდარი ვარ.

2016

მე ამ ოცნების...

მე ამ ოცნების, ფიქრების გარდა,
ამ ცხოვრებაში რა არის ჩემად?..
ეს ყველაფერი დარჩება არმად,
სული კი ზეცად მარადჟამს რჩება.

2016

ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ

ერთხელ სიკვდილს რა ჯობია,
უნდა მოკვდე კაცურკაცად.
კაცი როცა კვდება ბევრჯერ,
მის სიკვდილი – სიკვდილს არ ჰგავს.

მან იცხოვრა ქვეყანაზე,
თითქოს ზიდა ტვირთი მძიმე,
არ ფიქრობდა სიკვდილისთვის,
თვალთ ჩახედა სიკვდილს ვიდრე.

სახელის პოვნა ძნელია,
უნდა შექმნა მისხალ-მისხალ...
როცა კაცი ერთხელ კვდება,
დალოცვილი არის ღვთისგან.

2016

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲕᲥᲔᲜᲘ...

კარგი ვქენი, ქვას დავდევი,
გავიარე, წინ არ დამხვდა...
იმედგაცრუების გამო
ზოგჯერ ცუდი სიტყვა წამცდა.

2016

სიზმარი

ღრუბელზე მაღლა ვწევარ და ჩუმად
მეალერსება დილის ტკბილ სითბო.
გვერდით მიზის მზე – დედაჩემია,
და რძისფერ სხივებს მაწოვებს თითქოს.

დილის ნიავი მესალბუნება
ისე, ვით დედის ტკბილი ალერსი.
ისე ვარ კარგად, ისე ვარ ტკბილად,
ხმა არსაიდან თითქოს არ ისმის.

ეს საამური ტკბილი წუთები,
ღმერთო, ეს კიდევ დიდხანს იქნება?..
ო, როგორ მინდა, მარად გაგრძელდეს,
როგორ არ მინდა გამოღვიძება.

2016

ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ახალწლის ღამე
შემოდის ჩუმად,
მოიპარება ქუჩაში ისე.
წამით ქრებიან,
ისევლე უმალ,
თეთრი აჩრდილი თითქოსდა გვისმენს.

წლები გადის და
ახლა სულშიც თოვს,
თმაში გვემატება თეთრი ჭაღარა,
გვიხარია და...
იმას ვერ ვგრძნობთ, –
გვიახლოვდება მწუხრის ნაღარა.

თუმცა იმედი
ნუ მოგვეშალოს
(იმედით ცხოვრობს მთელი სამყარო),
ხე მუდამ ფიქრობს,
ფრთები გაშალოს,
მძლავრი ფესვებით რომ იამაყოს.

და ... ჩვენც თუ გავშლით
ჩვენებურ ფესვებს...
ხეც ფესვებიდან ხომ იზომება?
მაშინ სამყაროს
შევუერთდებით, –
ჩვენი აღდგომაც განმეორდება.

2016

რას აკეთებ – რა ჰქენი!

ასაკთან ერთად გამოცდილებას ვიძენთ,
თითქოს თავიდან ნელ-ნელა მოდის.
ცხოვრებას მუდამ თან დევს მწარე ფიქრები, –
ჭეშმარიტებას ეზიარები როდის?..

ნუთუ არ ფიქრობ?.. არც გიფიქრია ოდეს?..
რომ სიცოცხლე სიზმარივით ქრება შენი,
მაგრამ იმქვეყნად მშვიდი ძილი რომ გქონდეს, –
ამ საწუთროში რას აკეთებ, რა ჰქენი?

201

ᲜᲣᲚᲐᲠ ᲛᲝᲕᲔᲚᲘᲗ...

ჟღმურტიანი შემოდგომა იდგა,
ცოცხალი კაცი თავს ვერ გამოყოფს.
სუსხიანი ქარი უბერავს ზღვიდან
და სიძლიერით თითქოს ამაყობს.

ხიდან ფოთოლი ცვივა ფარფატით,
უმწეოდ დაქრის ღობე და ყორე.
ამოეწურათ მათ დრო ნანატრი,
ბედს მორჩილებენ თავიანთს მდორედ.

და... ეს საწუთროც ასეა ჩვენთვის,
ფოთლის ყისმათი გვერგება ოდეს...
რო ასრულდება სურვილი ღმერთის,
ვუახლოვდებით იმ ბოლო კბოდეს.

მაშინ შევიგრძნობთ სიცოცხლის ძალას,
წამით გავხედავთ გავლილ შარა-გზას...
ჩვენ ბედს კი ფოთლის ბედი თან ახლავს,
ნულარ მოველით ჩვენ სხვა შარავანდს.

2016

„კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს“

უსაქმურობა ერთი სენია,
სიმთვრალე კი – უბედურება.
უბედურება უფრო მეტია,
როცა ორივე ერთად გეყრება.

როცა მთელი დღე ბახუსს ატარებ
და არ გაფიქრებს შენი ოჯახი
და არად აგდებ დიდს თუ პატარებს
და ემსგავსები ვიღაც მოჰაჯირს.

დალევა შენი მთავარ ჰობია,
სხვა დანარჩენი შენ არ გადარდებს.
იმას არ ფიქრობ, ეს ბორიალი
ბოლოს მიგიყვანს, ბოლოს სანამდე.

დროა, დაფიქრდე, თორემ იცოდე,
ეს ყველაფერი კარგს არ მოგიტანს.
ბრძენის ნათქვამი მუდამ გახსოვდეს:
„კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს“.

2016

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ– ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝ...

ქართლ-კახეთი, ჯავახეთი,
გურია და სამეგრელო -
ჩვენ დაყოფა ბევრს უცდია,
მაგრამ მტერმა ველარ შეძლო.

აჭარა და აფხაზეთი,
სამაჩაბლო – ჩვენ ტკივილი, –
დაკოდილი ჩვენი გული,
წინაპართა სულთ ყივილი.

უკურნელი ჩვენი სენი, –
აფხაზეთი-სამაჩაბლო.
ძმადნაფიცნი ჩვენი ძმები,
ცბიერ მტერმა როგორ გაგვყო?..

ტირის, ტირის ქართლის დედა,
აფხაზ დედა მწარედ მოთქვამს,
სამაჩაბლოს მაღალ მთაზე
მეწამული მთვარე მოჩანს.

2016

გავა დრო და...

თოვს, თოვს, თოვს,
ო, რა ხვავრიელად თოვს...
მოფარფატებენ ციდან ფანტელები,
ირგვლივ ხმაური და ჟრიამული,
ბავშვებს დაუდგათ დღე სანატრელი.

ჩვენ კი, მოხუცებს, ბუხართან ახლოს
წრე გვაქვს შეკრული და ძვლებს ვითბობთ
და ჩვენ კეთილი შურით ისე გვშურს,
ამ ყოფაში არ ვყოფილვართ თითქოს?!.

ო... გავა დრო და ... ისინიც ასე,
კერიას მიუსხდებიან ახლოს
და გახედავენ ჭუჭრუტანიდან,
რომ ბავშვების ჟრიამული ნახონ.

2016

* * *

სვი, ჭამე,
იცხოვრე, –
დედა არ დაივიწყო...
იცოდე!

ᲚᲔᲥᲡᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲬᲔᲠᲝ...

მეუღლეს

ლექსს არ მიწერო, – ზოგჯერ, ხანდისხან
საყვედურნარევ სიტყვა მესმის, –
ო, ჩემო კარგო, რა დროს ლექსია,
ჩვენი ცხოვრება თვით არის ლექსი.

დედა ხარ, ბებო, დიდი ბებია,
ბადიშების და შვილთაშვილების,
გასული წლები როგორც გავლიეთ,
მომავალშიაც ასე იქნების.

შრომით და ბრძოლით გავლიეთ წლები
და კიდევ დაგვრჩა ცოტა სავალი.
ბადიშების და შვილებისათვის
კიდევ გავლიოთ წელი მრავალი.

არ მიწერ ლექსსო, თითქოს დღესაც,
ისევე ჩუმად ყურში ჩამესმის, –
ო, ჩემო კარგო, რა დროს ლექსია,
ჩვენი ცხოვრება თვით არის ლექსი.

2016

ვერავინ შეცვლის...

აღმართს მივყვები, თხილნარი მოჩანს
და იქვე ჩუმად შრიალებს თხმელა...
იყო, სირბილით ავრბოდი ბორცვთან,
ახლა სვენებით ავდივარ ნელა.

დროს თურმე თავისი მიაქვს ჩუმად,
არ გვეკითხება ბედის გამრიგე...
მე მეგონა, იქნებოდა მუდამ,
მაგრამ ვაი რომ... ახლა გავიგე.

ბოძებულ ჩემს ბედს აღარ ვემდური,
არ მიძებნია მე სხვა დიდება.
წმინდა უფლისგან რაც კი გვეკუთვნის,
ვერავინ შეცვლის, ისე იქნება.

2016

აღარ ვემდური

განვლილ ცხოვრებას
აღარ ვემდური.
თუმც ცუდი ვნახე კეთილზე მეტად...
ვიცი, არასდროს
განმეორდება,
მაგრამ მომავალს თვალნათლივ ვხედავ.

2016

ᲘᲥ ᲙᲘ...

ეხ, დავბერდი... მერე რაა...
სიბერეში რაა ცუდი?..
ვალმოხდილი, სუფთა გულით,
მიქელ გაბრიელს ვუცდი.
თუმცა როდის არვინ იცის,
ეს მხოლოდ უფალმა უწყის.

ბევრი ვნახე სიმწარე და
სიტკბოებაც ბევრი ვნახე.
ერთი რამე თან გამყვება,
რომ ჩემს მიწას მივებარე.
ღმერთმა ასე დამაბედა,
მაშინ როცა დავიბადე.

არ გამყვება არვის ჯავრი
(თუმცა შხამი ბევრი მასვეს),
აქ რაც იყო... იყო, არის,
იქ კი ... ღმერთის ახლოს დამსვეს.
აქ თუ აღარ დამიფასდა,
იქ კი... მაინც დამიფასეს.

სული ზეცას მაღლა წვდება,
მისი ფასი არვინ იცის.
სიყვარული თან მიმყვება
ღვთაებრივი მშობელ მიწის.
მე ამ სიტყვას არ გადავალ,
ერთგული ვარ ჩემი ფიცის.

ეს მთები და ეს ველები,
სიყვარულით ხელს მიწვდიან.
ამ ძარღვების ნაწილია
მუნჩია თუ ეს უმპია.
უხილავი ძაფით თითქოს
ჩემი ბედი ხელთ უპყრიათ.

2015

ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠᲗ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ

საქართველო – მამაჩემი,
სამეგრელო – ჩემი დედა, –
ორივე ხართ სუნთქვა ჩემი
და მიყვარხართ თავზე მეტად.

2015

ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲕᲔᲑᲗ

ჩემთვის ვზივარ ჩუმად მარტო,
ქაღალდებით სავსე „სტოლთან“,
ისე, როგორც შარშან ამ დროს,
მაგრამ მაშინ მაგრად თოვდა.

ვიყავ მაშინ უფრო მხნედა,
მახარებდა ზამთრის თოვლი.
ახლა შიშით ვკითხულობ, –
მიქაელი ხომ არ მოდის?..

თუმცა ვიცი, ველარ გვიხსნის,
მომავალზე მწარე ფიქრი,
ღმერთმა რაც კი დაგვაბედა,
ისე არის – ისე მიდის.

ვერ ავიცდენთ ბედისწერას,
ღმერთო, შენ ხარ შემოქმედი,
ასე არის ეს საწუთრო,
ზოგი მიდის – ზოგი მოდის.

და ჩვენც წავალთ ზეცით მაღლა,
როცა ჩათვლის ამას ღმერთი...
ჩვენ ჩვენს ადგილს დავიკავებთ
სამოთხე ან ჯოჯოხეთში.

2015

შეგონება

ოქრო და ვერცხლი,
ნაშოვნი არმად, –
იგი ოდესმე
ცეცხლივით დაგწვავს.
მაგრამ იცოდე!..
სინდის ნამუსი
იქნება მარად!

2015

რად უნდა მშურდეს?

ამ ნაზად მოციმციმე ცის,
კავკასიონის გრეხილ მთის,
ბათუმის მოლივლივე ზღვის,
პატრონს, –
რად უნდა მშურდეს სხვის?

2015

ᲠᲔᲖᲝ ᲑᲣᲚᲘᲐᲡ

80 წლის იუბილარს

ეს ცხოვრება ისე გავლე, –
ხტუნვით, ცეკვით და სიმღერით.
მომელოცოს შენთვის კიდევ
უამრავი ტკბილი წელი.

ერთ სათხოვარს ჩუმად შეგთხოვ,
ზეციერო, მაღალ ღმერთო:
ამ ცხოვრების ლაღი წლები
მრავლად მიეც ამ ჩემს რეზოს.

2014

ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ...

სინდის-ნამუსთან ვიყო მართალი, –
უფალმა ასეთი ბედი მარგუნა.
ვაკეთებ იმას, რაც მიკარნახა
ნათელ გონებამ და ალალ გულმა.

2014

ზეცას წვდება

ზარ-ზეიმით გავაცილეთ
ფინდელა და ფინკუშა...
მათმა გულმა სამუდამოდ
სამშობლოსთვის იყუჩა.
გულზე ალალ სიყვარულით
საქართველო ეხატათ.
ყველა ბოროტს მათი რისხვა
ეცემოდა მეხადა.
მტრის ბრმა ტყვია დაეწიათ
ძმებს– ძმობით შეზრდილებს,
მათი სული შარავანდით
ზეცას წვდება მეშვიდეს.
მათი ხსოვნა ყველას გულში
კელაპტრად უნდა ენთოს.
მათ სულები შეუერთდა
ზეციური საქართველოს.

2014

ო, რა კარგია...

შენი ნაყოფი, – ჯერ კი უნდილი
ხეზე ასხია და ელი მოსვლას,
ო, რა კარგია, რომ გაქვს სურვილი
და შენს ფიქრებს ფიქრები მოსავს.

201

ᲜᲔᲢᲐᲕ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ...

გაზაფხულის სუნთქვა მესმის,
მარტი გარბის სადღაც ჩუმად,
სიო სადღაც შარიშურობს,
სიყვარულის ახსნა უნდა.

ფიქრი მაღლა წვდება ზეცას,
გულს ედება ტკბილი სითბო.
სიო ნელა მაქანავებს,
სამოთხეში ვწევარ თითქოს.

ჩაიარა ზამთრის სუსხმა,
გაზაფხულის სითბო მათბობს...
ნეტავ ბევრჯერ შემახვედრა
ამ გაზაფხულს, –
ჩუმად ვნატრობ.

და ამ ნატვრით დავალ ქვეყნად,
წუთისოფლის მოკლე გზაზე...
ჩემო ღმერთო,
ერთადერთო!
მე ვერ გაგვცვლი ვინმე სხვაზე.

2014

დედა ერთია ქვეყნად

ყოფილი ცოლი არსებობს,
ყოფილი დედა – არა...
ყოფილი ქმარი არსებობს,
ყოფილი მამა – არა...
ამიტომ ყველას ახსოვდეს, –
მათზე ქილიკი კმარა!

დედა ერთია ქვეყნად, –
ვინც მოგვცა თვალთა სინათლე.
დედის სიტკბო და ალერსი,
დედის თვალებში ანათებს...
ვინ უნდა გამოგვიცვალოს, –
გიფიქრია ამაზე?..

თუ გიფიქრია,
იცოდე!..
ვერვინ შეგვიცვლის დედას,
ყოველთვის უნდა გიყვარდეს,
საკუთარ თავზე მეტად...
თუ გინდა იყო და ... გერქვას,
ადამიანი ქვეყნად.

2014

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲮᲐᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

დედას

დილის სხივი ხარ ამომავალი,
მოწმენდილ ცაზე გაბადრულ მთვარე.
ჩემი ცხოვრების ხარ მომავალი,
წუთისოფლიდან თუ დამრჩა რამე.

შენზე ფიქრებით ისევ ცას ვწვდები
და მახსენდება დილა მზიანი.
დღესაც ჩამესმის ის ტკბილი ხმები,
ჩემი ცხოვრების ფიქრი-მიზანი.

და ასე დამაქვს გული ცინცხალი,
და გული დღესაც ისე ხმიანობს...
ჩემი ბავშვობა ახლა ვიცანი, –
დედა... ძილის წინ ზღაპარს მიამბობს.

გარდასულ წლები თან დამაქვს მხრებით,
როგორც იმ მძივის უწყვეტი ჯაჭვი...
კვლავ შენი ლამაზ მიმოხვრით ვტკბები,
ახლა შევიგრძენ იმ სითბოს ფასი.

დღესაც ის სხივი ხარ ამომავალი,
მოწმენდილ ცაზე გაბადრულ მთვარე...
დარჩენილ დროის ხარ მომავალი,
წუთისოფლიდან თუ დამრჩა რამე.

2014

დილა იყო მშვიდი

დილა იყო მშვიდი,
ხეზე იჯდა ჩიტი...
მეც იქვე ვიჯექი,
შეპყრობილი ფიქრით.

ო, ეს იყო ადრე,
დიდი ხნის წინათ.
დღეს... ფიქრის გარეშე
იქვე ტკბილად მძინავს.

ეს წუთისოფელი
რა მოკლე ყოფილა...
ნუთუ... სამუდამოდ
ძილის დრო მოვიდა.

2014

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲗ ᲖᲔᲪᲐᲡ ᲕᲔᲑᲚᲐᲣᲭᲔᲑᲘ

ფიქრებით ზეცას ვებღაუჭები,
დედამიწა კი
მექცა ქალამნად.
ერთი წუთითაც არ მაქვს ეჭვები, –
სიკვდილ-სიცოცხლეს
ვიყოფთ თანაბრად.

კაცს კი, რომელსაც
არ აქვს მიზანი,
ის ჰგავს ქარში მოფარფატე ფოთოლს.
სამწუხაროა,
ახლა ვიცანი,
ვინც ფოთოლივით ფარფატებს მხოლოდ.

დრო ყოველთვის თავისას გაიტანს,
შენ კი დარჩები
ფიქრის ამარა...
ფიქრები მაღლა ზეცად ამიტანს
და გადასერავს ლაჟვარდ კამარას.

ფიქრებით ზეცას ვებღაუჭები
და... მუსაიფი მსურს მაღლა ღმერთთან. –
ბოროტს ვებრძვი და
არ მაქვს ეჭვები,
რომ მართალი ვარ,
უფალო, შენთან.

2014

სამჭაჭა

ყურძნის ჯიში, გავრცელებულია
იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში.

ერთი გვაქვს წარსული, ოცნება, ფიქრები, –
ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა,
როცა ღთაებრივ შარბათი ვიგემე
და ფრთხილად მოვეფერე სამჭაჭას.

2014.

მაინც მოველი...

მე ამ ცხოვრების ბევრი დამრჩა მირჩად,
ვერ ავისრულე ნააზრევი ყოველი...
თან დამყვება ყოველთვის ოცნება – ფიქრად,
მაგრამ მაინც მის ასრულებას მოველი.

2014

ᲛᲫᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲠᲩᲐ

თურმე ქვეყნად იყო ერთი კაცი,
ყველაფერს ყიდდა სინდისის გარდა...
ალბათ ვერ ნახავთ, რომ მოიძიოთ,
ფულით გაფუებულს ამნაირს არსად.

თუმცა სინდისი მას არ გააჩნდა,
(ახლა ლაპარაკი ამაზე ღირს კი?)
იუდას მსგავსად მასაც მიეძღო,
იმსახურებდა... რის იყო ღირსი.

მისთვის სამშობლო აღარ არსებობს,
მისი საუნჯეა სამოსი – ფარჩა...
ახლა კი... სული დაფრინავს სადღაც,
აქ მხოლოდ და მხოლოდ მძორი დარჩა.

2014

ᲛᲣᲓᲐᲛᲭᲐᲛ ᲕᲔᲑᲠᲫᲕᲘ...

უღრან ტყეში ვერხვის მსგავსად,
ტოტდამსხვრეული ვდგავარ კენტად.
მუდამჟამ ვებრძვი უსამართლობას,
სამართალი კი, სად არის ნეტა?..

2014

ცოტა მაცალე

წლები გარბიან, როგორც ფიქრები,
როგორც ეკრანზე შავ-თეთრ ფერები...
ოთხმოცი წლისა მალე ვიქნები,
გული კი დამრჩა უბერებელი.
იმედს არ ვკარგავ
მომავლის რწმენით,
ცაზე ვეძებ ბედის ვარსკვლავებს,
ო, რა ყოფილა წლების სიმრავლე...
უფალო, ერთს გთხოვ:
ცოტა მაცალე.

2014

მიწა

მიწამ – დამბადა,
მიწამ – გამზარდა
მიწას ვუვლი და მას ვეფერები.
მიწაა – აწმყოც და მომავალიც,
მიწას – ისევე შევუერთდებით.

2014

მაინც ვერ ავიცდენთ...

გაზაფხულზე ვინ რას თესავს,
შემოდგომაზე მას იმკის.
როგორც არ ვევედროთ ღმერთსა,
მაინც ვერ ავიცდენთ სიკვდილს.

2014

ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲜᲐᲑᲝᲫᲔᲑᲘᲐ

ღმერთისგან ნაბოძებია, –
ყველაფერია დათვლილი...
ჩვილად შობილი არსება,
ბოლოს...
ვიქცევით ბავშვივით.

2014

ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ

თვალთ სინათლე როცა მიქრება,
გადავიქცევით ჩვენც ფიქრებად,
მოგვიგონებენ ღვინით ჭიქაში.
ვინც დღეს არა ვართ, –
ოდეს ვიყავით.

2014

ᲡᲐᲓ ᲬᲐᲛᲘᲮᲕᲐᲚ...

სად წამიხვალ, სიკვდილო,
ვერსად დამემალები,
ვიცი,
ადრე თუ გვიან,
უხილავად მეწვევი.
შენით ფასობს, იცოდე,
შენ თუ არა, ვინ იცის,
როდის დააფასებენ
ამ საცოდავ სიცოცხლეს?

2014

მიქრის ეს წლები...

ო, მიქრის, მიქრის ეს წლები,
დრო – ჟამისგან ნასესხები...
გული ისევ ლაღად მღერის,
თუმც ოთხმოცის მალე ვხდები.

2014

გულმა იცის...

გულით ვმღერით,
გულით ვდარდობთ,
გულმა იცის გულობა,
გულით ნათქვამ მტკიცე არის,
ვერვინ უყოს ცილობა.

გულმა იცის გულიანი
სიცილი და ბრაზობაც.
გულმა იცის გულიანი
სიყვარული და მტრობაც.

გულმა შენმა გიღალატა?
არვინაა მშველელი...
შენი ცდა და მონდომება
დამთავრდება ყოველი.

2013

ᲒᲐᲘᲕᲚᲘ ᲓᲐ...

წუთისოფელი რა არის? –
ერთი მტკაველი გზა არის.
გაივლი და ... ვერც მიხვდები,
თავი და ბოლო სად არის.

2013

ᲥᲐᲚᲛᲐ ᲘᲪᲘᲡ ᲥᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ..

ქალი – მზე და
ქალი – მთვარე,
ქალი შინ და
ქალი – გარეთ.
და ქალმა თუ გაიწია,
შვიდ უღელი შეაკავებს? –
არა...
ამიტომ ქალს უნდა,
ტკბილი სიტყვა – მოფერება...
ქალმა იცის ქალობა და
ლამაზ ყელის მოღერება.

2013

არ მაბადია...

გარდასულ წლები,
ო, როგორ გაქრა, –
განმეორება ისევ მწადია?..
სიყვარულის და
სიცოცხლის გარდა,
დღეს არაფერი არ მაბადია.

2013

მშვიდად უმზერს

დილა არის წყნარი, მშვიდი,
იქვე სადღაც შაშვი უსტვენს,
მზე ამოდის მრგვალი – დიდი,
და მიდამოს მშვიდად უმზერს.

2013

არ მეშინია...

არ მეშინია სიკვდილის,
მხოლოდ მაშინებს სიბნელე...
ზამთარივით მომეპარა,
ო, ეს ოხერი სიბერე.

2012

რა მოკლეა...

წლები სწრაფად გაფრენილა,
დრო-ჟამისგან ნაზიარი...
რა მოკლეა ეს სოფელი, –
ვით გაზაფხულის სიზმარი.

201

სამშობლოს

მსურს სიმღერა ვთქვა,
მაგრამ ვშიშობ, ვერ ვთქვა საკადრისი.
არ გამიჯავრდე ...
ისე შენი შვილი შეიცოდე...
მინდა სიმღერა ვთქვა ჩემებური,
მხიარულების ალში ვიწვოდე.
საკეთილდღეოდ მინდა დავღალო
ეს ჩემი მკლავი – ენა ქებული.
ჩემო სამშობლოვ,
მუდამ ამდგარხარ...
თუმც ბევრჯერ იყავი აოხრებული.
და ... მაინც ჟღერდა სიტყვა ქართული,
მომავალზე მუდამ ღუღუნებდა
შენი ფანდური.

2012

დრო არ ჩერდება

დრო არ ჩერდება,
ის მუდამ მიდის.
ვერ მოისყიდი,
ვერც ოქრო-ვერცხლით,
ძალით ან რიდით.

2012

არ გამაჩნია სხვა...

ვარსკვლავებით გაჭედილი ცა,
არსად აღარ ჩანს ღრუბლების ფთილა...
მე სამშობლო არ გამაჩნია სხვა,
და... ამ ფირუზის გარდა,
არც მინდა.

2012

ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ...

ჩემი ქვეყანა ღორის „სუკია?“
ვის როგორც უნდა, ისე მიირთმევს?
ჩვენი გაქრობა ვის არ უცდია,
მაგრამ ... თავისას ყველა მიიღებს.

2012

„ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი“.
ყველა ერთი გზით მიდიან
ახალგაზრდა თუ მცხოვანი.
სიკვდილს ვერავინ აიცდენს,
ძლიერი, გულძალოვანი.
ვერ გავექცევი ჩვენ-ჩვენს ბედს,
რაც არ გვჯეროდეს მომავლის.

2012

მერაბი! ზვიადი!

სული დაფრინავს ზეცაში, როცა
ხორცი დაღოღავს ცოდვილ მიწაზე...
თქვენი უკვდავება გულით ვიწამეთ, –
მიწიერად არყოფნის დროსაც.

მუდამ იყავით ჩაგრულთ იმედად
და მათზე ფიქრი მარად გიპყრობდათ.
თავზე გემოსათ გვირგვინი დიდების
და ჟამთასვლამ კი ვერა გიყოთ რა...

თქვენი ტკივილი ჩაგრულთ გულშია
და მთელმა ერმა ხელით გატარათ.
თქვენი გაქრობა ბევჯერ უცდიათ,
მაგრამ ვერ შეძლო უღვთო სატანამ.

ღმერთი იყავით, ზეცით მოვლენილ,
თქვენი სიდიადე ზოგ-ზოგს შეხარდათ...
და თქვენგან თქმული სიტყვა ყოველი
მტერს ატყდებოდა გრგვინვა-მეხადა.

რომ ვერ გიგუეს, გიმუხლთეს მაშინ
და ჩაგიყენეს თვალში წყვდიადი...
მაგრამ ერში ხართ,
და თეთრი რაშით
ზეცად დაფრინავს –
მერაბ – ზვიადი.

2012

ᲗᲣᲠᲛᲔ

მეგონა, წლების სიმრავლე
სხეულს სიმძიმეს მატებდა...
თურმე პირიქით ყოფილა, –
სხეული უფრო მჩატდება.

2012

ᲘᲛ ᲤᲐᲠᲐᲡ ᲕᲒᲐᲕᲐᲠᲗ...

სინდის-ნამუსი წაგვართვეს,
ეკრანს ვეღარა ვუყურებ.
იმ ფარას ვგავართ, რომელსაც
თხა ჰყავთ წინამძღვრად – უგნურებს.

2011

სიბერე

მოდის ძალა
ულმობელი.
ვერ აჩერებ ვერვით მას.
ვერ იყიდი,
ვერც გაყიდი,
ვერც აჩუქებ ვერვის სხვას.
ვერც მოხიბლავ
ტკბილი სიტყვით
და არავის შიში აქვს.
მხოლოდ ითვლის,
ჟამთაღმრიცხველს,
არ მორჩილობს არვინ სხვას.
შენ კი...
ჩუმად დაჯექი და
გულში უხმოდ იმღერე...
მოდის ჩუმად,
მოდის ნელა
ულმობელი სიბერე.

2019

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

გაზაფხულის დედოფალი
თავს იწონებს
ბუჩქის ძირას.
თავის ჯადოსნური ფუნჯით
გაზაფხული
ხატავს სურათს.
ვაზი ტირის,
ეკიდება ცეცხლი ატმებს.
მოფუსფუსე
ფუტკარი კი
ჩუმად კოცნის ლორთქო ვარდებს.
ცხრათვალა მზე
ზედ დაჰყურებს,
ეფერება ღამით მთვარე...
ღმერთო, გთხოვ და
შემისრულე, –
ამ სიმწვანეს მიმაბარე.

2008

ეს ქვეყანა ვისია...

ეს ქვეყანა ვისია?! –
ეს ქვეყანა ვახოსია?
ეს ქვეყანა ვანოსია?
ეს ქვეყანა კახასია?
ეს ქვეყანა გრიშასია?
ეს ქვეყანა მიშასია?
არა!..
ეს ქვეყანა ზაზასია,
ეს ქვეყანა საშასია,
ეს ქვეყანა მიტოსია,
ეს ქვეყანა გიზოსია,
ეს ქვეყანა გელასია, –
ეს ქვეყანა ყველასია,
ეს ქვეყანა ჩვენია და –
უფალს გადურჩენია.

2008

***

არც ნაკლები...
არც მეტი, –
ეს ხელისუფლებაა
რეკეტი...

2008

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲧᲠᲐ

აფხაზ და ოს მეგობრებს

ერთად ვმღეროდით ოდესღაც,
ერთი ბოხოხი გვეხურა.
დავლურსაც ერთად ვუკრავდით,
ქეიფიც გვქონდა გლეხურად.
ახლა რა ღმერთი გაგვიწყრა?
კარი ვინ შემოგვიხურა?..
ვინ მოგვიშალა
ნეტავი
მამაპაპური ტკბილ-სუფრა?..

2008

ᲢᲐᲨᲡ ᲕᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲗ...

აღარ გესმით?
ტაშს ვის უკრავთ, –
სატანა დადის მიწაზე...
სააკაშვილი „ბატკანია''?
მოღალატე ბიწაძე!

2008

შენზე ვფიქრობ

ალმა დავალ...
დაღმა დავალ...
ვენახს ვუვლი,
მიწას ვბარავ,
შენზე ვფიქრობ
ყველგან მარად,
ამ სოფლიდან
სანამ გავალ.

2008

ახლა მივხვდი...

ბევრი ლოდინი დამჭირდა,
მომეძებნა გულის სწორი. –
ახლა მივხვდი, ჰქონდა ფასი
ამდენი ხნის უხმო ლოდინს.

2008

ლიბრი გადაფარვია

ლიბრი გადაფარვია
და ვეღარ ახელს თვალებს,
ხილულიც ვეღარ არჩევს
ნათელ დღისგან ღამეს.

2008

ᲓᲐᲒᲑᲔᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ

ახალო წელო,
შენს მობრძანებას
გულით შევხარით, იმედით სავსე.
გვეყო წვალება,
ფუი ეშმაკებს...
მათ, რაც საწამლავ-შხამი რომ გვასვეს.

ახალო წელო,
და შენი მოსვლით,
გულში გვისახავ ახალ იმედებს.
დაგბედებოდეს
ძეთა სიმრავლე,
ძმათა თანხმობა
დაგბედებოდეს.
რაც მოგვიტანა სატანის დრომა, –
მათი ალაგმვა
დაგბედებოდეს.
ყველგან სიცილი,
სახე მბრწყინავი...
ბავშვთა კისკისი დაგბედებოდეს.

ახალო წელო!..
ჩემი სურვილი,
ვნატრობ, რომ ცხადად ამიხდებოდეს.
და თუკი კიდევ დაგვრჩა გულგრილი, –
მათი ალაგმვა
დაგბედებოდეს.

2003

გული კი მღერის

მინდა გიმღერო, მაგრამ რა ეშხით?
სად გამოვძებნო ამდენი ჩანგი?
ან ვის მივმართო, ან ვის შევჩივლო,
ან ვის გავანდო ამ გულის დარდი?..

შენ განდობ, ვარდო, შენ განდობ, ია,
შემიბრალე, შენთვის მიმინდვია...
არავის გასცე ამ გულის დარდი,
მე, ტურფა იავ, შენ შემიყვარდი.

ღამეს ვათენებ შენს ტრფიალში, ია,
რას მიქადი, არც კი გამიგია?..
სიყვარულია თუ ჭლექი ნელი,
თვალები ტირის, გული კი მღერის.

2003

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ

მეგობრებო,
მოდით, შევსვათ
ღვინით სავსე თასი ბროლის,
ვადღეგრძელოთ
მობრძანება
წელი ორიათას ორის.

მოეტანოს სიხარული,
გამარჯვება ჩვენი
ყოფილიყოს ხვავიანი
და ღიმილის მფენი.

ბოროტება?
აგვაშოროს,
იყოს ყველგან რწმენა.
უბრწყინავდეს იერ-სახე
აღმაფრენით ყველას.

მოსპოს ქვეყნად
გულცბიერი, ფლიდი.
ირგვლივ იყოს სვიანობა
და ზეიმი დიდი.

ყოფილიყოს
ყველა ბავშვი,
უსასრულოდ ბედნიერი.
ამაყობდეს მათი გაზრდით,
ქვეყანა თუ...
მთელი ერი.

ნეტარებას ვერ იტევდეს
ყოვლისმთმენი დედის გული...
ირგვლივ იყოს აღტაცება
და ულევი სიხარული.

ყველას ირგვლივ
უბრწყინავდეს,
უბრწყინავდეს თვალი.
არა ღვინით, –
სიხარულით,
სიხარულით იყოს მთვრალი.

და უწყვეტად ოჯახებში,
მუდამ ენთოს შუქ-სინათლე.
მოეტანოს ყველასათვის
სიმხნევე, სილაღე.

გვერდით ჩვენსას
არავინ გვყავდეს ღატაკი, მშიერი.
არსად იყოს ჭაჭანება
ორგულ, ფლიდი, ცბიერის.

ირგვლივ იყოს სიტკბოება
და არსად არავინ ჩიოდეს,
კმაყოფილი იყოს ყველა,
არავინ არსად ტიროდეს.

ბავშვი ლაღად
სკოლაში რომ მიდიოდეს.
და...
იქ დამხვდურ მასწავლებელს
არ ციოდეს,
არ შიოდეს.

ყველას ჰქონდეს მიზერული
ეს ხელფასი
და პენსია,
როგორც ყველგან
(არა ჩვენთან)
რიგი და წესია...

ღმერთო, ერთს გთხოვ,
და...
ვარ მთხოვნელი ამისი.
მომაწოდეთ,
მომაწოდეთ თასი და
ღვინო დამისხით. –
მინდა უფალს შევთხოვო
ამით,
ჩვენთან არის,
ჩვენთან არის
ღმერთი...
ამინ!

2001

ᲒᲐᲘᲒᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ...

ოფლით მორწყულა ჩემი სამშობლო, –
სისხლით?
ჰო, სისხლით...
რამდენიც გინდა!
გაიგოს ყველამ,
ბოლოს და ბოლოს,
რომ დასათმობი არა გვაქვს მიწა.

2001

მუნჩია

ნახირი მისდევს ჩალაშლილს,
გული რაინდობს, ურჩია,
თხმელის ჭველარა ჭალაში
მიედინება მუნჩია.

ზაურ ჩქვანავა

ნეტავ ეს სახელი
ვინ დაგარქვა და,
ვინ ამოგირჩია?..
აქ დაბადებულო,
ჩემო პატარავ,
ჩემო მუნჩია.
შენ გკვებავს ძუძუთი
პაწაწინა ღელე,
მიედინები
ძუნძულით.
მერე...
ვით პატარა ჩვილი
აფათურებ ხელებს...
ციდან ჩამოსული
წვიმა აგაღელვებს.
ძალას გმატებს
და აგახელებს.
მაშინ ემსგავსები
ბობოქარ მერეხს,
მოვარდნილ გრიგალს.
თითქოს მოედინები
იმ მაღალ მთიდან.
თუ არადა...
სულ აქვე დაიბადე,
იმ გორას იქით
დაუფარავს ბარდებს...

ვით პატარა ჩვილი,
პატარა ხარ, ციცქნა.
თუ არადა, გასაზრდოებს
გაზაფხულის წვიმა.
მერე კი...
მერე გზადაგზა,
გხვდებიან ძმები...
დავაჟკაცებული,
ამაყად ზღვას ებრძვი,
ტოლს არ უდებ
რიონს და ენგურს
და...
ძმურად ეხვევით
მეგობრები ერთურთს.

2000

რა კარგია ნელა მოწვიმდეს...

ცა მოიქუფრა...
– გაწვიმდება, ალბათ, –
იმედით ლაპარაკობს
ვიღაც.
-ოო, რამდენ ხანია და,
მართლა,
არ ყოფილა წვიმა?-
ვით კაცს,
წყალი მოსწყურდა
მიწას...

ცა მოიქუფრა...
დაუბერა პალიასტომიდან
ცივმა ქარმა...
-თუ ნელა მოწვიმს,

რა კარგია!
და...
თუ არ იქნება
თავსხმა.

გულში ჩუმად ნატრულობს
გლეხი. –
იმედით შევყურებ ზეცას
მაღლა...
დაიგრუხუნა,
ცა გაიხსნა,
მეხი
ალბათ დაეცა
სადღაც.
– რა კარგია
ნელა მოწვიმდეს,
და...
და თუ არ იქნება
თავსხმა.

2000

სიყვარული მომარჩენს

მე სიყვარული თან დამაქვს,
როგორც პაპაჩემს ნაბადი.
გთხოვ შემიბრალო, ეს ტანჯვა
ბოლოს მომიღებს მანამდის.

ისიც მეყოფა, ამ ყოფამ
რაც გამიჩინა იარა...
შენ სიყვარულით მომარჩენ,
ექიმ-მკურნალი კი არა.

2000

ᲛᲔᲪᲝᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲕᲭᲜᲐ

გარეთ წვიმს და...
ჩემს სარკმელთან
აშარ ქარი ფიქრებს მიშლის.
თითქოს შესცივდა, კანკალებს
და მეხვეწება – შემიშვი.

მე კი ვზივარ ჩუმად, მარტო,
უიმედო მწარე ფიქრით.
ვიცი, ველარ მოხვალ, მაგრამ
მაინც მოთმინებით გიცდი.

შენს ლოდინში მე ამ ღამეს
გავათენებ ალბათ თეთრად
ო, არ მინდა ... ფიქრი მაინც
მიფრინავენ შენთან, შენთან.

ქარი სისინებს, წრიალებს,
მეხვეწება ჩუმად თითქოს:
შენთან შემიშვი, ან მოდი, –
ხმაური თავისკენ მიხმობს.

მე კი ვზივარ ჩემთვის ჩუმად
და ვუყურებ წვიმის ღარებს.
მეცოდება, მაგრამ რა ვქნა,
აშარ ქარს რომ სცივა გარეთ.

2000

ფოთოლი

ხეს მოწყდა ბოლო ფოთოლი,
ნელა დაეშვა მიწაზე.
ეგონა მარტო – ობოლი,
ჩამოსტიროდა პირსახე.

მაგრამ იხილა, რომ გვერდით,
თავის ტომი და მოგვარე,
ამოისუნთქა მან შვებით
და გაიღიმა თან მწარედ.

თითქოს მოეშვა გულზედა,
მიენდო ბედის განსაცდელს.
ჩუმად ახედა ხეს ზედა, –
კვლავ ამწვანდება ხვალ ან ზეგ.

2000

ყველა ეს ჩემია

ხავერდოვანი ცა
და მოლივლივე ზღვა,
ცას მიბჯენილი მთა...
ჩემი სამშობლოა,
განა მე მინდა სხვა?..

იორი, ენგური
და ალაზნის ველი,
მტკვარი და ტეხური,
ალავერდი, გრემი, –
ყველა ეს ჩემია,
სალოცავი ჩემი.

2000

* * *

სადაც ჩხაოდა მგელი და ტურა,
იქ გააშენეს ჩაის კულტურა.

სადაც ხარობდა ჩაის კულტურა, -
ახლა იქ ჩხავის მგელი და ტურა

2001

ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ

უნდა იშიშვლო ხმალი და
შიგ გულში უნდა აძგერო...
რას შველის მარტო ქადილი?
დაჯდე და ლექსები წერო...
თავგანწირვაა საჭირო,
გმირობა უშიშარ ცხრა ძმის.
ან უნდა გაიმეორო
ვაჟკაცობა სააკაძის.
უნდა ვიბრძოლოთ, ვეძგეროთ
თუ გინდა ხმლით,
თუ გინდა კალმით...
ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, –
სანამ ბოროტებას წავშლით.

2000

დაილოცოს

დაილოცოს გმირი დედა,
გმირ შვილების გამზრდელი.
დაილოცოს ბავშვი – ჩვილი,
ყოფილიყოს ის დღეგრძელი.
დაილოცოს ტანჯულ მიწა,
ნამეხარი, ნატყვიარი.
ღმერთო, უფალს გულით შევთხოვ:
მოგვირჩინე ნაიარი...
დაილოცოს ლამაზ მთები,
ჩვენი ველი, კოხტა მდელო.
დაილოცოს ჩვენი ერი, –
ყველა კუთხე საქართველოს,
დაილოცოს სამეგრელო,
ჩვენი აფხა – აფხაზეთი.
საამაყო სამაჩაბლო,
არ გაწირავს მაღლა ღმერთი.
დაილოცოს ყველა კუთხე,
წკრიალა და ასე სუფთა.
წინაპრების ურყევ ფუძე,
იდუმალი მათი სუნთქვა.
დაილოცოს ჩემი კუთხის
ეს პატარა ჩემი ურთაც.

1999

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ

შენი წინსვლა რომ იქნება,
ამას არ უნდა მტკიცება...
მაგრამ დღეს ზოგი ულირსი
ართმევს ღირსეულს ღირსებას.
რაც გვიოკებს სულის ღარებს
და ვკარგავთ ურთიერთ ნდობას...
თუმც ესეც არ გვაკმარეს
და გვართმევენ ქართველობას...
არ ვიცი, ხვალ რა მოგველის,
ირგვლივ ბნელითა მოცული.
სდუმან გარშემო ყოველნი,
მტრად თუ ან მოყვრად მოსულნი.
ირგვლივ ყაყანი, ბუყბუყი
პარლამენტისა ცრუისა...
თითქოს გვეხსნება უკუნი,
ნათელი ამა დროისა:
„რად გვინდა ჩვენ ეროვნება?
ვართ ისედაც ცნობილი,
თუ გვაქვს დიდი გემოვნება
და პატივცემა დობილის?“
გული არ უნდა ვატკინოთ,
ჩვენს გვერდით უმცირესობას,
ჩვენი უფლება რა არის?
დავიცვათ მათი უფლება.

1999

მარად უკვდავი

თქვენი სიკვდილის არ მჯერა,
ან როგორ უნდა მჯეროდეს?..
თქვენი საქმენი დიადი
ცოცხლობს,
მარად იცოცხლებს, –
ნათელი სახით
ზეცით დაგვყურებს
მარად უკვდავი
მერაბ – ზვიადი.

1986

თუკი ულალატებ...

მიყვარს გაუკვალავი გზით სიარული...
ოო, გაკვალული გზით კი,
მიმძიმს...
ცხოვრებაში ყველაფერი მიიღწევა,
თუკი ულალატებ
საკუთარ სინდისს!..

1996

ᲠᲔᲜᲔ ᲡᲕᲐᲛᲡ?..

ᲠᲔᲜᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡ

რენე ზის და კითხულობს
და აფასებს რენესანსს...
ირგვლივ ყველა
კითხულობს:
ო, რენე სვამს?
რენე სვამს?
ჰო, რენე სვამს,
რენე სვამს!
მაგრამ ყველამ იცოდეს,
იგი ბევრად სჯობია
ზოგ უსმელ თუ ფხიზელ კაცს.

1995

„კარგი ბიჭი“

იგი კარგი ბიჭი არის,
ლამაზი და თვალტანადიც...
ღვინოს ვერ სვამს,
ღვინო მას სვამს,
არ შეუძლია ატანა.
და, როცა იგი დათვრება,
არავის აგდებს არაფრად,
მიაჩნია ცა ქუდად და
დედამიწა კი – ქალამნად.
გვეგონა, რომ გონზე მოვა,
სიბერესთან და ... ასაკთან,
მაგრამ მაინც, როგორც ვხედავთ,
ჩვენი ფიქრი არ გამართლდა.
იგი კარგი ბიჭი არის,
რიგითია თუ თამადა...
მაგრამ ვერ სვამს,
ღვინო მას სვამს, –
არ შეუძლია ატანა.

1995

ᲦᲛᲔᲠᲗᲙᲐᲪᲘ

ისინი ტყვიას გვესვრიან,
ჩვენ ყვავილები ვესროლოთ.
ზვიად გამსახურდია

შენ კი ყვავილებს ესროდი მაშინ,
ჯალათნი ტყვიას გესროდენ როცა.
სწორედ ამიტომ შენ ხარ ღმერთკაცი,
და ახლა უფლის სამოსი გმოსავს.

ის უწმინდურნი, ჯალათნი, ნეტა,
რას სჩადიოდნენ, უწყოდნენ მაშინ?..
ტყვია რა არის?.. ტყვიაზე მეტად
ძლიერი ძალა ყოფილა ვარდში.

1995

ᲖᲕᲘᲐᲦᲡ

შენი სიკვდილი არ მჯერა...
ან როგორ უნდა მჯეროდეს?
შენი იდეა დიადი
ცოცხლობს,
მარად იცოცხლებს.

1994

ყველაზე პატარებს

სათვალე

ერთხელ ბებომ წყენით მითხრა:
მომიძებნე სათვალე,
ასე რატომ მექცევი და
ასე რატომ მაწვალებ?
უცებ გული მომივიდა
და პირშივე ვახალე:
ცილს რად მწამებ,
როცა შუბლზე
გიკეთია სათვალე!..

2000

ᲜᲘᲜᲘᲙᲝ

უკვე შვიდი წლისა ვარ
და სკოლაში დავდივარ.
ადრე ვდგები, პირს ვიბან,
თვითონ ვიცვამ ჩაცმითაც.

ვიცი წერა და კითხვა
და ყვავილების ხატვა.
მე ვკითხულობ შარლ პეროს
„ჩექმებიან კატას“.

სკოლაში კი ვმეგობრობ
ზაზას, თეას, თინიკოს.
მე ვარ ციცქნა გოგონა,
მეძახიან ნინიკოს.

2001

ᲪᲝᲢᲜᲔᲡ

შვილთაშვილს

მე ვარ შენი დიდი ბაბუ,
ჩემო ბიჭო, ჩემო ცოტნე.
მე გისურვებ მწვერვალისკენ
წარმატებით მუდამ ქროდე!

წელს პირველად მიუჯდები,
სკოლის პაწაწინა მერხებს,
მე ვილოცებ შენზე მუდამ,
მანამ, სანამ ამას შევძლებ.

2018, 1 სექტემბერი

ნაცარქექია

ნეტავ რაა ეს ჩიტი?
ასე ცქვიტი და მარდი?..
ადგილზე ვერ ჩერდება,
სულ დაფრინავს ან დადის.

აცანცარებს გრძელ კუდს,
ჭრელხატულა ფრთები აქვს.
ნაცარივით მჩატეა,
ჰქვია – ნაცარქექია.

1999

ფოთოლი

ნეტავ, რას ჩურჩულებს
ეს ფოთოლი ციცქნა?..
თითქოს ხელებს გვიქნევს
და გვიყურებს ხიდან.

ჩვენ კი მოფუსფუსე
მის ჩეროში ვწევართ,
ჩქამი გვესმის ცხადად
და ყველაფერს ვხედავთ...

რომ ფარფატებს ნელა,
ვით პეპელა ჭრელი.
ვეფერებით თრთოლით
ჩვენი ციცქნა ხელით.

2000

ᲑᲣᲓᲔ

ჩვენს ვენახში თურმე შაშვებს,
გაუკეთებიათ ბუდე.
შიგ ჭრელ-ჭრელი და ხატულა
სამად სამი კვერცხი უდევთ.

შემამჩნია, შეეშინდა
და მორთო წივილ-კივილი...
გავეცალე, – რაღა მექნა?
მესმის მის გულის ტკივილი.

მაგრამ მაინც ვერ ისვენებს,
თავს იკლავს ჭახან-ჭახანით.
იქაურობა აიკლო
და ხიდან ხეზე გადახტის.

ალბათ, მალე გამოჩეკავს
სულ პატარ-პატარა ბარტყებს.
ნულარ ტირის, ხელს არ ვახლებ,
პატიოსან სიტყვას ვაძლევ.

2000

ჩემი ფისო

რა ჭირს, ნეტა, ჩემს ფისოს,
მაგიდაზე ჩემთან ჯდება.
ქვევით თეფშით საჭმელს ვუდებ,
ზევით რაღა უნდა ნეტა?..

ვეფერები, ვუჩიჩინებ:
სკამზე გვერდით რატომ ხტები?..
იგი ჩუმად მიყურებს და
რასა ფიქრობს, ვეღარ ვხვდები.

თუმცა... ვფიქრობ, მივხვდი კიდეც,
ეს ფისო ფისო რომაა.
მასაც უნდა მაგიდასთან
უფროსებთან გვერდით ჯდომა.

2001

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

ო, როგორ ბარდნის,
ბარდნის და ბარდნის...
ციდან ეშვება ფანტელი ნელა,
დაფარფატებენ,
მოფარფატებენ,
ვით უამრავი თეთრი პეპელა.

და სიხარულით
სული ივსება...
და მეცხრე ცაზე მივფრინავთ მაღლა.
თოვლში ვგორაობთ,
ვხმაურობთ,
მაგრამ...
ოდნავადაც არ გვეტყობა დაღლა.

2002

თოვლი მოსულა

– თოვლი მოსულა, თოვლი, –
ბებომ გვახარა დილით.
წამოვხტით მარდად ზეზე,
ზედ წამოხტა ზიზიც...
უხარია, ნათლად ვხედავ,
ძლივს იკავებს ბებო სიცილს.

2002

მოფრენილან ჩიტები

მოფრენილან ჩიტები:
შაშვები და გვრიტები,
ჭიკჭიკებენ მერცხლები,
შეწყობილი სიმღერით.
ბუდეებს გაიკეთებენ,
გამოჩეკონ ბარტყები...
აღტაცებით შევყურებთ
და სიხარულით ვტკბებით.

2003

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

გული ხარობს,
სული ხარობს,
ატამი რომ აყვავდა.
მოიტანა სიხარული,
არემარე გალაღდა.

გაიხარეს,
ახმაურდნენ,
გაიფურჩქნენ კვირტები,
არემარეს მოეფინა
წითელ-ყვითელ ფიფქები.

ახმაურდა წყაროს წყალი,
აბიბინდა მთა-ბარი,
აჟღურტულდნენ ჩიტუნები,
ვითარც ტკბილი ზღაპარი.

გაიხარა ცელქმა ბიჭმა,
გაიხარა ნინომაც.
გაზაფხულის მობრძანებას,
სულით, გულით გილოცავთ.

2013

მოვიდა მაისი...

მოვიდა მაისი...
და ლამაზ ყვავილებს
დასტრიალებს ხალისით
ფუტკარი გამრჯე...
და ტყის ხშირ ბუჩქიდან
ჩიტები ჟღურტულებს...
ვარდები ამშვენებს
გულღია ფანჯრებს,
რომ ხელთ უპყრიათ
ცქრიალა თვალჟუჟუნებს.

1957

ᲓᲘᲚᲐ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ

დილა თენდება, ალვის ტოტიდან
ბულბულის სტვენა ტკბილად გაისმის.
წითლად შეღება ზეცა თაღიდან
მზემ დილა, – დილა პირველმაისმა.

მშვიდობის დროშა ქვეყნად დიდია,
ცად ამართულა მშვიდობის დროშა.
მზე – მომავლისკენ მარშით მიდიან
და მათ მშვიდობის სამოსი მოსავთ.

მშვიდობა იყოს ქვეყნად მარადი, –
და ჩვენ გვმოსავდეს მარად ჟამს იგი.
მაგრამ მშვიდობას სპობს ომი – ჯალათი,
დაუნდობელი, შმაგი და ფლიდი.

...მსოფლიოს ბავშვებს – ჩვენ გვსურს მშვიდობა, –
ხმაშეწყობილი სიმღერა ისმის.
და ზეცას წვდება მშვიდობის დროშა
წითლად იღვრება დილა მაისის.

1957

სიმღერა

მე მიყვარს ზაფხულის დილა,
ბულბულის სტვენა ბაღიდან,
რადგან მე მისმა გალობამ
მუდმივად გამომაღვიძა.

მე მიყვარს ზაფხულის დილა,
ჩემი პატარა მხარისა.
ამ ჩემს ლექსს კვებავს ბავშვივით
სურნელი ამ ჩემ ბაღისა.

მე მიყვარს ოქროს ველები,
ჩემი სამშობლო ბარისა.
და მისმა ტკბილმა ნიავმა
მე ასე გამახალისა.

1957

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔᲤᲔ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ

ნაძვნარს ჩაუცვამს თეთრი სამოსი
და ჰგავს დედოფალს ზეცით მოვლენილს.
რა შეუძლია ღმერთს – დალოცვილს? —
არის მბრძანებელი, შემქმნელ ყოველის.

ბორცვს ცვლის ტრამალი, – ტრამალი ვრცელი,
ნაძვნარს – ფიჭვნარი – მეფე ბუნების.
მიქრის, მიქრის სწრაფი მატარებელი, –
მალე, სულ მალე, შენთან ვიქნები.

მუდამ შენთან ვარ ფიქრით, ოცნებით,
ჩემო უბერებელო – ბებერო მთებო. –
ასე ამაყი, ასე ძლიერი,
მტერთა ჯინაზე ამაყად გვევლოს.

1975

ზუგდიდს

პირველ სხივს მე შენს ქუჩაში ვხვდები
(დილაადრიან მოვშორდი კერას).
მე აქ გავშალე ყმაწვილმა ფრთები,
აქ წამოვიწყე პირველ სიმღერა.

ნიავი მატკბობს ზღვით მონაბერი,
ყველას კეთილი თვალებით ვუმზერ.
მე კი არა, აქ მერცხალი მღერის
ჩემი ზუგდიდის დიდ გაზაფხულზე.

და ამ ბუნებამ გამზარდა ლხენით,
მომცა ცხოვრება და სიხარული.
მან შემაყვარა ეს ტკბილი ენა
და მან მარგუნა ეს სიყვარული.

1985

ᲛᲝᲓᲘ, ᲛᲝᲓᲘ, ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠ?

როცა მძინავს, მგონია,
ჩემს ლოგინში შენცა ხარ.
თვალს გავახელ, დაგიძახებ:
მოდი, მოდი, სადა ხარ?

როცა დილით ავდგები,
შენც ადგები მხარდამხარ.
რატომ გიყვარს, ტურფავ, მალვა?
მოდი, მოდი სადა ხარ.

როცა გზაზე თან მომყვება,
ტურფავ, ლანდი მხარდამხარ.
მოვიხედავ, შენ მგონიხარ,
მოდი, მოდი, სადა ხარ?

როცა გზაზე თან მივყვები
ამხანაგებს მხარდამხარ,
თვალით გეძებ, – მოდი, ტურფავ,
მოდი, მოდი, სადა ხარ!

ნუთუ, კარგო, არ გინდა
ჩავუქროლოთ მხარდამხარ,
ამწვანებულ მინდორ-ველს,
ამწვანებულ მთა და ბარს.

მოდი, ტურფავ, მოდი აქ,
მოდი, მოდი, სადა ხარ?..
მოდი, ერთად გავიაროთ
ეს ცხოვრება მხარდამხარ.

1956

***

ნ.გ. ბუაჩიძის წიგნზე მინაწერი.

შენი საგმირო საქმენი
დარჩება ხალხს, ვით ზღაპარი.
შენი სისხლით გაანათე
გლეხის სული, ვით ლამპარი.

სიმართლისთვის დაიფერფლა
შენი გული ტყვიით მკვდარი.
ხალხისათვის იღვწოდი და
ხალხმა მოგცა მომავალი.

1958

მომილოცნია ახალი წელი

ახალი იწყებს ძველის შეტევას,
დასაბამიდან როგორც ადათ-წესს,
გული საგულეს ველარ ეტევა,
ოცდამეერთედ ვხვდები ახალ წელს.
ირგვლივ ჩამოდის თოვლის ფანტელი
და სითეთრე დგება გარშემოთი.
მიღწევებით წავიდა ეს წელი,
ახალი დიდების წელი შემოდის...
დგება ნანატრი წუთი და დღენი,
ახალი მოდის ძველის ბჭემდე.
მომილოცნია ახალი წელი,
მომავალშიაც მშვიდობას ვჭედდეთ!
ახალ მიღწევის იყოს ეს წელი,
მშვიდობა იყოს ქვეყნად ამიერ.
შენი მობრძანება იყოს დღეგრძელი,
შენს მობრძანებას – მრავალჟამიერ!

1957

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲮᲐᲠ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲐᲠᲓᲘ

პირისახე – ცოტა მრგვალი,
ცხვირი გრძელი, შავი წარბი,
შავკაკლიან ორი თვალი,
შუბლი არის – ვარდისფერი,
ლამაზი გაქვს ყველაფერი.
ბაგეები – წითელ ლოყა,
მაამბოროს ერთხელ ცოტა.

ნეტავ იმ კაცს, დაგიხატა
ასეთ ლამაზ ყველაფერი.
ეს ნაწნავი დაგიგრეხავს
ორნაწნავად ოქროსფერი.
ლამაზი ხარ, როგორც ვარდი,
და ამიტომ შემიყვარდი.

ალვის ტანი, წელაყრილი,
ხელები გაქვს, როგორც ტოტი.
ახალგაზდულ გრძნობა თუ გაქვს,
ერთ სათხოვარს ჩუმად გთხოვდი:
მომეც ნება, შენთან ვიყო,
ჭირი-ლხინი მეც გაგიყო.

1996

მე და მზია

ორღობებში მივდიოდით
მეგობრები, მე და მზია.
შევამჩნიეთ, ბუჩქის ძირას
ამოსულა მარტოდ ია.
ხელი ვტაცეთ, შევეხვეწეთ:
– წამომყევი, იავ, შინა,
ტკბილად დაგსვამთ ალვის ქვეშ და
ხელს ვერ გახლებს ვერავინა
და გაგითხრით გვერდით თხრილსა,
ზედ გავუშვებთ წყაროს წყალსა
და მოგიტანთ სათამაშოს,
ართობდე შენსა თავსა.
– მაპატიეთ, ჩემო კარგო,
ზედმეტია საჩუქარი.
ჩემთვის მხოლოდ ისა კმარა,
ვიყო მარტო თავისუფალი.
ტყვეობაში მომიკვდება
ეს პატარა ნორჩი გული
და რად გინდათ, რომ ვიტანჯო,
მქონდეს მუდამ ბედი კრული...
– მე და მზიას შეგვეცოდა,
ეს პატარა ნორჩი ია.
გავშორდით და არც გვიკითხავს,
სახელიც კი მას რა ქვია. –
აუცრემლდა მზიას თვალი,
აუჩუყდა ნორჩი გული.
უცბად ვიგრძენ, მას სტანჯავდა
ჩემებრ იას სიყვარული.

1958

ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲨᲔᲜᲘ...

მზე ამოცოცდა, დაჯდა მწვერვალზე,
სიხარულის და ნათელის მფენი.
მან გამილიმა, მეც გავულიმე
და ის ღიმილი მეგონა შენი.

შევჩერდი წამით შენი სახლის წინ,
როგორც მლოცველი ხელაპყრობილი.
დიდხანს ვიდექი, მე დიდხანს, დიდხანს,
შენზე ფიქრების ზღვას მინდობილი.

მერე გავყევი შენს ქუჩას ისევ...
მზე მიცინოდა ნათელის მფენი.
ნიავი სადღაც შარიშურობდა
და ის ჩურჩული მეგონა შენი!

1960

მითხარ...

მითხარ, კარგო, მითხარ,
როგორ დამწვი, როგორ?
ჩემო გულის ვარდო,
შავთვალწარბა გოგო.

მითხარ, კარგო, მითხარ,
მკერდში რა გიდვია?
იმ პატარა მკერდში
მახე დაგიგია.

იმ მახეში მე ვარ
ჩიტივით დამწყვდეული.
მე გთხოვ... შეიბრალე
გურამ დატანჯული.

თორემ ეგ ცხოვრება
ისე მოკლე არის,
რომ ვერც კი გავიგოთ
ამ სიცოცხლის ზღვარი.

1990

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ, ᲫᲐᲚᲐᲡ ᲨᲔᲜᲡᲐᲡ

სიყვარულო, ძალას შენსას
ემონება ყველა კაცი,
მაგრამ ყველამ როდი იცის
წმინდა გრძნობის ნამდვილ ფასი.
შენ ხარ ღმერთი ზეციერი,
სალოცავი წმინდა ღმერთი...
ულევ ძალას ვგრძნობ მე მაშინ,
როცა მყავხარ მე შენ გვერდით.
სიყვარული ტანჯვა არის,
სიხარულიც გულში მჩენი.
უნაზესი ტკბილი გრძნობა
და ოცნება – აღმაფრენი.
სიყვარულმა აღარ იცის
ასაკი და მისი ყრმობა.
იგი არის უხილავი,
უხილავი წმინდა გრძნობა.
დაილოცოს შენი ძალა,
ლაჩარს გახდი ტარიელად.
მარტო ყოფნა აღარ მინდა
და მსურს ვიყო შენთან ერთად.

1984

ნეტავ ამიხდებოდეს

შენი თვალები
ლამაზი,
მწველი,
ვითარც ღადარი.
შავი წამწამი,
გრძელი ნაწნავი.
ნეტავ სად არის
მისი სადარი?

გულმკერდში კი
ორი ბორცვია.
აღმართული
სწორი ჯიქნებად.
ნეტავ...
მისი შეხება
ვისი ხელებით იქნება?

ტუჩი – მსუქანი,
ვითარც მაისის
ლორთქო ყაყაჩო.
კისერი – ალვის ხესავით,
სულ მაღლა-მაღლა
ნავარდობს.
ტანი – მთრთოლარე,
ვით შველი
ტყეში ობლად გაჭრილი...
რას ვინატრებდი
მის გარდა,
რომ ვიყო
შენი აჩრდილი.

ფეხები – სწორი,
ვით ლარი.
ხელები – ტოტი
ტირიფის.
მისი შემხები კაცისთვის
რა იქნებოდა სიკვდილი?..

თუმცა,
ერთს ვინატრებდი, ლამაზო...
და ნატვრა
ცხადად ამიხდებოდეს, –
შენი მთრთოლარე გულმკერდი
ჩემს მკერდს ჩაეხვეოდეს.

1984

ვიცი

ვიცი...
სხვა გიყვარს
და სხვას ეტრფი.
სხვამ შენი გული ჩარაზა.
მე მაინც მუდამ დავრჩები
შენი სარკმლის დარაჯად.

მე მაინც მიყვარს
იქ ყოფნა,
გიცქირო სარკმლიდან მალულად,
როცა ჩაწვები ლოგინში
და...
როცა თვალებს მილულავ.

ასე ვიქცევი ყოველდღე,
ასე დავყვები შენს აჩრდილს.
მაგრამ...
შენ როდის მიხვდები
ტანჯული გულის ამ ჩივილს.

მე არ გთხოვ,
რომ შემიყვარო...
არც მინდა შენი ღიმილი...
მხოლოდ,
მომეცი ნება მე,
გიყურო ასე ძილის წინ.

1960

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ ᲨᲔᲜᲖᲔ

მე ვფიქრობ შენზე, –
ნეტავ, სადა ხარ?..
სად გძინავს,
გატკბობს ტკბილი სიზმარი...
ვნატრობ,
რომ გავხდე მე უჩინარი,
რომ შევიხედო იქ, სადაც გძინავს...
ვნახო
შენი სახე,
მშვიდი,
უწყინარი.
მერე, თუგინდ მოვკვდე, –
არ გაიგონებ
ამ გულის გმინვას.

1960

ᲤᲘᲥᲠᲘ ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

მე დღეს უცნობი მხარეში დავალ,
აქ სხვაგვარია შრიალ მდელოსი.
აქ გაშლილია ხეები მაღალ,
ისე ვით, მთები საქართველოსი.

ელვარებს ვოლგა, ისე ვით ხმალი
და მოიმღერის ბუნების ხმებით.
ტყეს ეკიდება დილის მზის ალი,
მე მის სიმშვენით, ციმციმით ვტკბები.

მე ამ ბუნების სილაღე მატკბობს,
როგორც მშობელი დედის ალერსი...
აქ თავისუფლად ვოლგა ნავარდობს,
როგორ ჰაერში ხმალი ალესილ.

მტკვარივით შხუის მისი ტალღები,
აქაც სიცოცხლე დადის და მღერის...
ვოლგის ნაპირზე ფიქრივით ვმაღლდები, –
ვფიქრობ, ვდგავარ და ბურლაკებს ველი.

ვგრძნობ, რომ მათ მძიმე ჭაპანი მოაქვთ,
დაღლილებს ოფლი ჩამოსდით შუბლზე.
შეჩერდებიან, დასვენების დროს
ღამეს გაჰკვესავს კოცონი უცებ.

ჰორიზონტიდან ლანდი გადმოვა,
დაჰყურებს კოცონს ალისფერ სახით,
უახლოვდება... კოცონთან მოვა
და მიუჯდება მას ოდნავ დახრით.

და... საუბარი დიდხანს გრძელდება,
ცისკენ ისწრაფვის ცეცხლის ალები...
აღმოსავლეთი წითლად ინთება
და... იშლებიან ფიქრთა ლანდები.

1959

ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲢᲧᲔ...

მე აქ, ამ ტყეში, ვიცნობ ყველა ხეს,
აქ მივლია ყმაწვილკაცს ფიქრებით.
მე მის სუნთქვასაც ვგრძნობ ყოველდღე,
მისგან ზღაპარსაც აქვე ვისმენდი.

1959

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲟᲦᲔᲠᲓᲔᲡ

ი. გრიშაშვილს

შენზე არ მითქვამს სიმღერა დღემდე,
რაც გულში მქონდა გრძნობა ფარული,
მაგრამ იმ ღამის, ოქტომბრის შემდეგ,
ვიტყვი სიმღერას დიდ სიხარულით.

ვიტყვი სიმღერას გაუბედავად,
თუმცა გულში მაქვს სათქმელი ბევრი.
აყვავდეს უფრო შემოქმედება,
დაუღალავი შენი კალმის წვერით.

დე... მუდამ ჟღერდეს სიტყვა ყოველი,
როგორც უფლისგან ჩვენი მფარველი.
უკეთეს მომღერალს მე მოველი,
მაგრამ ბედნიერს შენზე არავის.

1959

შორს ხელები ალჟირიდან

ამ სიმღერას,
ჩემ სიმღერას
მე ვუძღვნი ტანჯულ ხალხებს...
ამ ზღვის იქით,
ამ მთის იქით
მშვიდობა რომ თვალებს ახელს.
გაიღვიძებს,
გაიზრდება
და ბორკილებს მალე დახევს.

ამ მაგიდის,
ჩემ მაგიდის,
მე ტრიბუნად გახდა მინდა,
რომ აქედან,
ქვეყნად გაწვდეს
ხმა მრისხანე და ხმა წმინდა.
თქვენ, ყაჩაღნო,
ავაზაკნო,
შორს ხელები ალჟირიდან!

ნუღარ გინდათ,
ნუღარ გინდათ,
სისხლის ღვრა და ტყვიის წვიმა.
თქვენი „ძმობის“
ნიღაბიდან
სხვანაირი ხმა გაისმის, –
ძმა ძმას ებრძვის,
ველარ ინდობს,
ჩინეთს უღრენს შანხაიში.

ქვეყნად იწვის,
მზე ბრიალებს.

მზე მშვიდობის და მზე ძმობის.
მრისხანებით
ხმა გაისმის. –
ნულარ გვინდა ატომბომბი.
ნუ გვაშინებთ,
ნუ გვემუქრებით
ამოწყვეტით და მოსპობით.

ჩვენი ხალხი
უძლევია,
ურღვევია ჩვენი რწმენა...
ვერ ჩააქრობთ,
ველარ მოსპობთ
ამ სიმღერას, ჩემს სიმღერას,
რადგან იგი,
ვით მალამო,
ტანჯულთ გულში დაიფრქვევა.

ამ სიმღერას,
ჩემს სიმღერას,
მე წარმოვთქვამ ტრიბუნიდან,
რომ აქედან
ქვეყნად გაწვდეს,
ხმა მრისხანე და ხმა წმინდა.
თქვენ, ყაჩაღნო,
ავაზაკნო,
შორს ხელები – ალჟირიდან.

1959

მიყვარს...

მიყვარს მე დილა სხივმოქარგული,
მისი ღიმილი, თვალების ბრწყინვა.
ცამდე მაღალი მთა აკალთული,
თოვლის ქათქათი რომ ადევს მყინვარს.

მიყვარს სიმღერა თავისუფლების, –
ომის ქარცეცხლში წინაპრებს ზრდიდა.
გაფანტა ცაზე შავი ღრუბელი,
მზეს ხელს უშლიდა... სხივს ვერ გზავნიდა...
მასზე სიმღერას მე დღეს ვუნდები,
ვინც მოგვივლინა ნათელი დილა.

1959

ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ენგურის გაღმა-გამოღმა
გადაშლილა ყანები,
მას გლეხის მადლი აცხია
და ოფლი სათაყვანები...
... მუდამ სიცოცხლედ მიღირდი,
სიცოცხლის წყაროდ მინდოდი,
გული მწყდებოდა შიმშილით,
შენ კი იყავი მინდორი.
მიწა იყო და არ გქონდა,
მკლავი უქმად ცდებოდა,
სხვისთვის ვშრომობდით, შიმშილით
ცოლ-შვილი სახლში კვდებოდა.
... მაგრამ გავარდა ქუხილი,
ქუხილი ვითარც მეხისა.
შენი მშობლიური სითბო და,
შენი ღიმილი მეღირსა.
და მე დღეს ჩემი მიღწევით
ყველანი მომილოცავენ,
მუხლში ძალა მატულობს,
ყანას გავყურებ როცა მე.
იშლება ჩემს წინ ბაღნარი,
ვითარც ისტორიის ფურცელი.
ნუთუ?.. სიხარულს ვერ ვუძლებ,
წინათ წუხილს თუ ვუძლებდი!
გამხიარულდა, გაბრწყინდა
ყველა მშრომელის თვალიცა,
აყვავდა ჩვენი ცხოვრება,
გაბრწყინდა წინათ მკრთალიცა.
ენგურის გაღმა-გამოღმა
გადაშლილია ყანები,
მას გლეხის მადლი აცხია
და ოფლი სათაყვანები.

ჭადრის ფოთოლი

გახსოვს?.. ლამაზო, მაჩუქე
წასვლის წინ ჭადრის ფოთოლი?
ის დარჩა გულში საუნჯედ,
სიყვარული დანათოვლი
და შევინახე უბეში,
სახსოვრად იმ დრო-ჟამისა.
შემდეგ კი გახდა ნუგეში
დღეები უთვალავისა.

...მის შემდეგ განვლო მრავალმა,
მრავალ ზაფხულმა მზიანმა.
შენ კი სხვა გზით მავალმა,
სხვა მიზნის თანაზიარმა;
აფრინდი, გაყევ სწორი გზას,
გოგონა შავთვალიანმა.

მე კი ბილიკით წავედი,
არ ვიყავ მშიშარ-ჯაბანი.
ოცნების მწვერვალზე ავედი,
ოცნებით გადანაბანი.
იქიდან ტკბილად გიცქერდი,
თუმცა გზა კი იყო შორი.
გულში მესახა ის ერთი:
სიყვარულ – ჭადრის ფოთოლი.

1958

ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲒᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑ

ნორჩ სიცოცხლეს დავთმობ,
აღარ მკითხავ – რატომ?
ზამთარშიაც შენი ეშხის
ია-ვარდი მათოვს.
კაცმა შენზე ცუდი მითხრას,
განა ამას დავთმობ?!.

დავთმობ განა მე სიყვარულს? –
ორად გული რომ გამიპონ.
ლამაზებში შენ გარჩიე,
ბროლს გადარე შენ ამიტომ.
ვერასოდეს დამივიწყებ,
ძალზე გული რომ დამწყვიტო...
ბევრჯერ გთხოვე შენი გული,
დროა უკვე, რომ დამითმო.

1958

შემოდგომა

ხეებს ჭაღარა შემოხვევიათ,
მხიარულება დაეტყო სოფელს,
ვაზებს მტევნები დამძიმებიათ,
კაცს თვალს მოსტაცებს,
სიხარულს მოჰფენს.
თითქოს მტევნები გასკდომას ლამობს,
დ აციმციმებენ, ვით მზეში წყარო,
მინდა დავკოცნო,
ვეხვიო ლამის,
და მე ამ გრძნობით ბავშვივით ვხარობ.

ირგვლივ ხმაური,
ურმის ჭრიალი...
დატვირთულ გოდრებს ეზიდებიან,
მოხუცი დინჯი,
თავაზიანი,
ამ უხვ მოსავალს მისჩერებია.

კმაყოფილია,
ულიმის სახე
და დასთამაშებს თეთრ წვერზე სიო.
მომიბრუნდება
და მეტყვის ასე:
ამ ჭირნახულზე შენც რამე თქვიო!

განა დუმილი აქ შემიძლია?
როცა აქ მიწაც და ხეც მღერიან.
აქ ყველა ხარობს,
და აქ ყველაფერს
სიცოცხლის ძალა გადაჰფენია.

1958

ᲒᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ

ეს გული პატარა,
ეს გული ცინცხალი,
შენკენ მიიწევს,
ვით ცაზე მერცხალი...
გადასერავს ლაჟვარდს,
გადასერავს სივრცეს,
და გული დამტკბარი
დაგიბრუნდება ისევ.

1958

ᲨᲔᲜ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲩᲣᲥᲐ

მშვიდობის დროშები აწვდილი ცათამდე
და მზეზე კაშკაშა, მთვარეზე ნათელი...
ორმოც მდინარეს ერთი აქვს სათავე,
ორმოც მდინარეს ერთი აქვს სახელი
ორმოცჯერ ადიდდა წყალუხვი მდინარე,
ორმოცჯერ მოფრინდა შორიდან მერცხალი.
ორმოცჯერ გავშალეთ დროშები ბრწყინვალე,
დღეს უფრო ნათლად ჩანს მომავალი დღე – ხვალის.

დღეს უფრო გაისმის ყანების ღაღანი,
დღეს აღარ გვაშინებს უძლური სიბერე...
პირიქით, გვალაღებს გასული დრო-ხანი,
მე რომ არ გიმღერო, შენ საქმე გიმღერებს.

და... შენ ეს დიდება მაისმა გაჩუქა,
მას ვხვდებით ზეიმით,
მას ვხვდებით მცინარე,
მაისმა გაგვათბო,
მზე შემოგვაშუქა,
და წლები მოღელავს ორმოცი მდინარედ.

1958

თბილისს

ჩემო თბილისო,
ჭაღარა დედავ,
დედის თვალივით წმინდა – ნათელი,
შენს სიყვარულში
სინათლეს ვხედავ
და,.. შენ გიმღერის ბიჭი ქართველი.

სახით ჭაღარავ,
გულით ჭაბუკო,
საუკუნეში დგახარ ჭარმაგი.
გორგასალისა
წმინდა ნაკურთხო,
შენც დაუფასე იმას ამაგი.

შენც უკვდავი ხარ,
მთაო, მთა წმინდა,
დიდი მგოსნების ბინა-ალაგო.
მსურს დაგაყარო
ვარდები ციდან
და მით მოგფინო, დედა-ქალაქო.

1958

ᲨᲔᲜ ᲒᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ...

ო, რა ლამაზია ეს ჩემი მხარე,
ბულბულთა ხმაში,
მერცხალთა ხმაში.
მომღერალო ბიჭო!..
გამოდი გარეთ,
ამ სილამაზეს შემოჰკარ ტაში.
დილაა...
იგი ალისფრად იწვის
და ვარსკვლავები გარბიან ციდან,
გავყურებ სივრცეს და მიხარია,
და მიხარია,
ძალამ პაწიამ
მე რომ სიმღერად გადამაქცია...
და... შენ გეკუთვნის,
ჩემო სამშობლო,
პირველი ლექსი – წრფელი, ნამდვილი.
შენთვის ისეთი სიმღერა მინდა,
ვით გაზაფხული ველად გაშლილი.

1959

აფხანაური

მაიაკოვსკის (ბაღდათი) რაიონში ვარციხის მევენახეობის მეურნეობის ერთ-ერთი უბანია, სადაც გავდიოდით შრომით პრაქტიკას.

არე ჩაფლულა ზვართა ჩეროში
და ბიბინებენ ლორთქო ყლორტები.
შენ, შავთვალებავ, ტკბილად მღეროდი,
და მეც ხანდახან მიგაყოლებდი.

მიგაყოლებდი სიმღერას ნაზ ხმით
და ყურს უგდებდა აფხანაური.
ო, ის სიმღერა იყო რა ტკბილი,
ო, ის სიმღერა ამხანაგური.

შენ ამ სიმღერით გამოგიზრდია,
აფხანაურო, ბევრი ვაჟკაცი...
ბევრ გამრჯე მკლავი შენთან უცდიათ
და შენ გიმღერდნენ რიონის ხმაში.

...ჩემს სიმღერასაც ის ძალა ახლავს,
რიონის დუდუნს ჩემი ხმაც ერთვის.
მე შენთან ვხედავ იმ ძალას ახალს,
რაც მომავლისკენ გზა არის ჩემთვის.

1958

ᲛᲔ ᲔᲡ ᲛᲘᲬᲐ

მე ეს მიწა,
მე ეს მიწა,
გულით მათბობს,
გულით მიცავს...
და შენ გფიცავ,
მარად გფიცავ,
სამუდამოდ
რომ დაგიცავ.

სისხლის წვეთი
ყოველ ძარღვის
ჩემ გულიდან
გადმონადენ,
შეითვისე,
შეიერთე
და კუთვნილად
გაიხადე.

შეიერთე...
გამილიმე,
როგორც ნამი
მზიან დილის.
გამილიმე,
ჩამიკარი,
შენი მიწის
გაზრდილ შვილი.

ჩამიკარი,
ჩამიკარი
გულში მაგრად.
შენი ტრფობით,
ყაყაჩოსებრ,

რომ დავიწვა
მე შენ მზეში.
ჩამიკარი,
ჩამიკარი
მაგრად მკერდში.

1958

წერილი სატრფოსადმი

შორს დავტოვე მე
ჩემი სოფელი.
და გავემგზავრე შორეულ მხარეს.
აქ ველს გავყურებ
თოვლით მოფენილს
და მოგოგმანე ნათელი მთვარეს.

ჩემი მგზავრობა
ძნელია, კარგო...
მე ამ წერილში ვერ აღვწერ კიდეც.
მე შენ მომყვები
ფიქრებით მარტო
და ამ ყინვაში შენ სითბო ვიგრძენ.

მე ამ წერილში
მინდა აღვწერო,
(თუმცა არ ვიცი, მიიღებ თუ არა).
როგორ დავტოვე
მშობლიური მხარე
და შენ, ლამაზო, ჩემო შავთვალა...

როგორ გავძელი
მიკვირს უშენოდ,

და ცრემლი თვალზე ვით შევიმშრალე...
ო,სიყვარული
მტანჯავს უშენოდ.
ალბათ ბოლოსაც მომიღებს მალე.

ამ სიყვარულის
მსხვერპლი გავხდები,
თუ არ მომწერე სიტყვა პატარა.
სიტყვა, რომელსაც
მე შენგან ველი,
რამაც გამრია თმაში ჭაღარა.

1958

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ბაღში ჩიტის სტვენა ისმის,
დილა არის საამური.
ვაზებს ცრემლი მოსდგომია,
ველ-მინდორს კი – გაზაფხული.

აგერ მერცხალიც მოფრენილა,
მაკრატელა სოსნისფერი.
ფრთებით მოჰყავს გაზაფხული
და სიმღერებს მოიმღერის.

1957

მაინც გიმღერი...

თუ ოდნავ ჩემზე ფიქრი გაწუხებს,
თუ ოდნავ ჩემზე ფიქრი გაწვალებს,
მაშ, რად ემჩნევა ღიმილი ტუჩებს, –
თუ არა, ცრემლი მაგ შენ წამწამებს.

ღიმილი გშვენის, ცრემლი კი არა,
შენს თვალებს მუდამ ღიმილი შვენის...
დღეს იმ თვალებმა ამახმიანა,
რადგან მე მხიბლავს თვალები შენი.

ცეცხლი აანთე, კარგო, ჩემს გულში,
ცეცხლი უქრობი, გიზგიზა ცეცხლი.
და ჩამესახე უკვდავად სულში,
რასაც სიკვდილიც ვერაფრით შეცვლის.

მაგრამ ვით შევძლო ლექსში ჩავტიო,
ყველა ის გრძნობა, გულში რაც მიდევს...
დე... სიყვარულმა გული დახიოს, –
მაინც გიმღერებ კიდევ და კიდევ.

ᲡᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ

თურმე ყველა ამბავს აქვს სათავე,
გინდ დიდი იყოს,
თუგინდ – პატარა.
შენზე ფიქრები მამაღლებს ცამდე,
შენზე ფიქრებმა სად არ მატარა.

მაგრამ არ ვიცი, მე ეს ამბავი
როდის დაიწყო,
სად აქვს სათავე.
სად შემეპარა ციმციმი თვალის,
და...მაგ თვალებით სანამ მაწვალებ.

ჩემო ლამაზო,
ჩემო პატარავ,
შენი თვალების ტყვე ვარ, მონა ვარ.
დღემდე თუ გულმა თრთოლით გატარა...
შენზე ფიქრებმა სული წამართვა.
არ შეგიძლია?..
შენი ღიმილი
ჩემ გულს მიართვა წმინდა ნობათად.

1958

თბილისი

პირველად შემხვდა თბილისის ქარი,
და დამიკოცნა ჯერ ჭაბუკს სახე.
მაშინ პირველად ვიხილე მტკვარი,
თბილისის მიწაც პირველად ვნახე.

გავყევი იმის ვარდიან ქუჩებს,
გავყევი ჩუმად, ვით ნიავქარი.
ვეალერსები ყვავილთა ბუჩქებს,
როგორც ნაპირებს – მბორგავი მტკვარი.

1957

ახალგაზრდული

მკერდით მივაპობთ ბობოქარ ტალღებს,
მტერთან ბრძოლები მიგვაქვს გმირული.
აღარ გვჩვევია არასდროს დაღლა,
უცხოა ჩვენთვის ძილისპირული.

აღარ გვჩვევია არასდროს დაღლა,
ტყვიის წვიმაში თუ ავდრის ქარში.
მშვიდობის დროშას ვატარებთ მაღლა,
უძლეველ მარშით.

1957

„ᲑᲐᲗᲣᲛᲘ“ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲐᲗᲐᲡ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ �გᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲜᲐᲕᲘ „ᲑᲐᲗᲣᲛᲘ“.

საღამოვდება, დაისის ცეცხლი
იწვის და იწვის თბილისის თავზე.
და განუწყვეტლივ ხმაური მესმის, –
„ბათუმი“ მიქრის, მიცურავს მტკვარზე.

ლაღად მიცურავს, ზღვაში გაზრდილი,
ზღვაში გაზრდილა, ზღვაში შობილა.
აჭარის გული მას აქვს ნამდვილი,
ათას ხუთასი წლის თავს მოვიდა.

ათას ხუთასი წელიწადია,
აქ რომ შეერთდა გული ქართველის.
დღეს მე ისეთი ლექსი მწადია,
რომ თქვენ მოგფინოთ გულში ნათელი.

რომ ავაფრინო ქვეყნად, დიდებად,
ნიავთან ხელი-ხელ გადაჭდობილი, –
ბათუმ-თბილისი მუდამ იქნება
შემოქმედების დიად ძმობილი.

1958

ლელა
(პოემა)

1

დილა ადრე, დილა სისხამ,
დილამ პირი დაიბანა,
დილა პირველ ეგებება
მობიბინე მწვანე ყანას.

უკვე დადგა დღე მზიანი,
გაზაფხულის დილა მწველი.
მოცლისათვის ვის სცალია,
შრომას მიყო ყველამ ხელი.

ადრე დილით საღამომდე,
დასტრიალებს ყველა ყანას,
მშვიდი შრომის დამრღვევებს
გაზაფხული ჩაუმწარდეს.

2

დილა ადრე ვანო ყანას
დასტრიალებს თავის თოხით,
ომი მარტო წინ როდია,
ზურგშიც არის შრომის ომი.

მიაწვდინონ ჩვენს მებრძოლებს,
მეტი ტყვია, მეტი პური.
ჯალათებს და სისხლის მსმელებს
გაუხვრიტონ გველის გული.

წამითაც კი არ ისვენებს
არ ემჩნევა ვანოს დაღლა.
სად სცალია მოცლისათვის,
უკან ფრონტი, წინ კი ყანა.

განა ჩივის მარტო იმას,
რომ დაზოგოს თავის ღონე?..
იგი ფიქრობს, სიბერის ჟამს
თუ მოუწევს მას სიმონე?

მწკრივი მწკრივს თან მოჰყვება,
თოხი – თოხს, თოხნის მარდად,
ჯერ ფრინველი არ ჭიკჭიკებს,
არც მზეს ეხსნა თავის ფარად.

ასე შრომობს მთელ სოფელი,
თუმცა ხალხი ცოტა არის.
მათ იციან, მტკიცე ზურგით
წინ წაიწევს ჩვენი ჯარი.

3

მზემ გაახილა ლამაზი თვალი,
მშვიდად გადახედა სოფელ ხევისპირს,
და გაიფიქრა გულში სიმწარით: –
ო... ამომასწარით? – ვაი სირცხვილს!

თითქოს ბულბულსაც ჩასძინებია,
ჩუმად დამჯდარა ტოტების ძირას.
ალბათ ფიქრობდა ამ დილით ადრე,
ხალხს ვერ დაუფრთხოს ტკბილ და მშვიდ ძილსა.

მაგრამ რას ხედავს?.. ხალხი ყოველმხრივ
შრომის ფერხულში ჩაბმულა ყველა,
აფაცურდა და... იწყო სიმღერა,
გრძელი კისერი წინ წაიგრძელა..

4

ვანო განა შეისვენებს?
არც საჭმელი ახსენდება.

მეზობელი გადმოსძახებს: –
მოდი, ერთი, წავიმხესოთ,
არ გვაწყენდა შესვენებაც.

ხათრს ვერ უტეხს მეზობელს და
მივა, გვერდით მიუჯდება.
შრომისა და საქმის შემდეგ
ფართო სუფრა გაიშლება.

ზედ სუფრაზე დაალაგეს
ქათმის ხორცი, ჭყინტი ყველი,
წითელ ღვინოს წყნარად ასხამს,
წაისველოს ცოტა ყელი.

პავლე:

– მეზობლებო, მსურს დავლოცო,
მიმავალი ომში ყველა,
მათ მიყვება ჩემი შვილიც,
ერთადერთი ჩემი გელა.

ყველამ იცის, რა ძნელია
შვილის მოცლა მშობლის გულზე,
არანაკლებ ძვირფასია,
ო... სამშობლო მრავალ შვილზე.

ეს თქვა პავლემ და თვალიდან
ორი ცრემლი გადმოსდინდა,
და სთქვა ჩუმად – გულდაწყვეტით: –
შვილიც და სამშობლოც მინდა.

ვანო:

– მართალია, ჩემო პავლე, –
ანუგეშა წყნარად ვანომ, –
მეც, შენც და ბევრ კიდევ სხვასაც
ჩვენ ამ ომმა ძლიერ გვავნო.

ოთხი შვილი გამოვზარდე,
სამი ვაჟი, ერთი ქალი,
ორი ვაჟი იქ გავგზავნე,
მოეხადათ ქვეყნის ვალი.

ორი ჩემთან აქ ბრძოლობენ,
აქ ებრძვიან მწვანე ყანას,
მათაც კიდევ ვანაცვალებ,
თუ დასჭირდა ჩემს ქვეყანას.

შენ რად დარდობ? რა გამონებს?
რად იფუჭებ მაგ გუნებას?..
მოსპობს მაგ მტერს, ავაზაკებს,
გამარჯვებით დაბრუნდება.

5

ლელა ადგილზე ვერ ჯდება,
ბრუნავს დედალ ქათამივით,
ეჩქარება სადღაც წასვლა,
და წამობით დროსა ითვლის.

მთვარისა და მიზის სადარი,
რომ იტყვიან ლელა გახლავთ.
შავი თვალი, პირი მრგვალი,
თმები გრძელი, წითელწაბლა.

იყურება ჩუმად სადღაც,
წეროსავით გრძელი ყელა...
ყოველ გემის წამოძახილ
მას ახსენებს სატრფო გელას.

ზღვა ლივლივებს მზიას ფერი,
ისმის მისი ტალღის რხევაც,
უნდა რაღაცა თქვას, მაგრამ
ბუტბუტებს და სიტყვა ვერ თქვა...

ზღვისებრ ღელავს ლელას გულიც
და საგულეს ვერ ეტევა,
სახლში უნდა წასვლა, მაგრამ
ვერ წარმოსთქვა სიტყვა – დედა.

უნდა დედას სთხოვოს წასვლა,
დაბრუნდება ისევ ხელად.
ნავსადგურში შეირბენს და
წამით ნახოს სატრფო გელა.

6

სუფრა ტკბილი დაამთავრეს,
წამოდგა ყველა მჯდომარე.
უცებ თავზე წამოადგათ
ხევისპირის თავმჯდომარე.

გაუხარდათ, თან ეწყინათ,
რომ მოვიდა ასე გვიან,
დაამთავრეს, რაც კი ჰქონდათ,
მხოლოდ ძვლები მარტო ყრია.

ოხ.. ოხ.. რა დროს მოგვისწარით?
პატივცემით, ჩვენო თენგიზ.
– არა უშავს, გავაგრძელებთ,

ჩვენი ჯარის გამარჯვებით.
რომ ავიღებთ ავბედ ბერლინს.

თენგიზი:

– ოთხმოცი წელი დავამთავრე,
და მომესწრო შვილიშვილიც.
ჩემი გზა აწ მოკლე არის,
მათი ბედზე მხოლოდ ვჩივი.

მაგრამ მე მსურს რომ ვიცოცხლო,
მოშუშდება ეს ტკივილი,
დაბრუნდება სიხარული,
არსად იყოს ეს ტირილი.

და მოხუცს მსურს ისევ შევხვდე,
ომგადახდილ ჩვენს შვილებს,
სიხარული მეც ვიგემო
და მათ ტკივილს მეც მივიღებ.

გამარჯვება მივულოცო
ხევისპირის ტკბილი მაჭრით...
ჩვენ აქ ვიბრძვით, ძმებო, ზურგში,
ისინი კი – იქ შაშხანით.

7

ამ დროს ლელამ დრო იხელთა,
უჩურჩულა დედას ჩუმად: –
სახლში უცბად მივირბენ და
დავბრუნდები უცბად, უმალ.

და თანხმობა რომ მიიღო,
გაქრა ისე, როგორც ბინდი,

მირბის, მირბის, უციმციმებს
თვალები და... სახე მშვიდი.

მიქრის, მიქრის, ხტება მარდად,
ვით შემკრთალი შველის ნუკრი,
თვალები კი უთამაშებს,
ტუჩები კი ცოტად უთრთის.

მიქრის, მიქრის, ვერას ხედავს,
მაგრამ... რჩება უცებ სახტად...
ლამაზ ტუჩი მოიკვნიტა
და თვალები ფართოდ დარჩა.

ცხადია თუ სიზმარია?..
გელა ნახა ჯირკვზე მჯდარი...
მის ოქროსფერ ნაწნავს არხევს
მოლივლივე ზღვის ნიავი.

მიდის ახლოს, წყნარად მიდის,
ეფინება თვალებს ბინდი,
წამი დგება სანატრელი,
მღელვარე და... თანაც მშვიდი.

წამოხტება გელა სწრაფად,
თვალთ დაუდგა დღე ნათელი...
დადგა დრო ყველაზე მეტად
საოცნებო, სანატრელი.

ვერ მოძებნეს სიტყვა მჭრელი,
იდგნენ დიდხანს გაუნძრევლად.
მათ თვალებში ნათლად ჩანდა
ყველა სიტყვა... ის უთქმელად.

8

და ბოლოს გელამ ჩუმად წარმოთქვა:
– დამელოდები, ლელა თუ არა? —
და ამ დროს ლელას ფერმკრთალ სახეზე,
ვარდისფერ სხივმა გადაუარა.

ლელამ თვალებში ნაზად ჩახედა,
გელამ მიიღო თვალით თანხმობა...
და უცებ ლელა სწრაფად ახტა და...
ზედ გელას შუბლზე სწრაფად აკოცა.

გადაეხვივნენ მხურვალედ ერთურთს,
მიჯნურს მიჯნური, სახით ფერმკრთალი...
ასე დატოვა გელას თვალებმა
ლელას თვალები... თვალი შემკრთალი.

1956

საქართველო

1

კავკასიის მაღალ მთაზე,
მზე ვარდისფრად იხედება.
დილა წყნარი, გაზაფხულის,
ოქროსფერად იღებება.

წყნარად ახელს თვალებს კვირტი,
დილის ნისლით შევერცხლილი,
ცის კამარა შეარხია
სიმღერებმა პირველ მერცხლის.

მეც სიმღერით ვეგებები
გაზაფხულის დილა მზიანს.
საქართველოს ყოველ დილას
გამარჯვების დილა ჰქვია.

სიცოცხლე ვარ მეც ამ დილის,
სიმღერების ისმის ხმები...
ამ ბაღიდან რაც გვიცინის,
სიმბოლოა გამარჯვების.

ეს ბაღნარი, ზაფხულ-ზამთარ
მარად ცოცხლობს, მსუნთქავია,
საქართველოს ყველა კუთხეს
მარადმწვანე – ბაღი ქვია.

გადაშლილა მთებში ბარად,
ნარინჯები, თურინჯები...
ბარაქიან გლეხის ხელით,
სიმბოლოა გამარჯვების.

2

დღეს აღარ არის გოდების ჟამი,
ტანჯვა, წამება გაქრა ამ ქვეყნად,
როცა დაქროდა შაჰ-აბას ხანი,
დიდს და პატარას სულ ერთად წყვეტდა.

ცეცხლს უკიდებდა ქართველის ქოხებს
და ძირს უთხრიდა ნაშენ ვაზებს.
მაშინ მოხუცი, ბებერი მოყმე,
მძიმედ მოსწევდა სევდიან ზარებს.

და მოუხმობდა ქართველ მეომრებს,
რომ მათ დაეცვათ მშობელი მიწა.
მხარი-მხარს სდებდნენ ერთიმეორეს
და თავს სწირავდნენ სამშობლოს ფიცად.

კვდებოდნენ იქვე და საქართველოს
არ აბარებდნენ... და ვერც აკუწეს,
სისხლით შეღებეს ნამიან მდელო
და უკვდავება დაიმსახურეს.

და მტერს სდიეს ამოწყვეტამდე,
ყიჟინითა და გმირობის ხმებით.
და დროშა ისევ აღმართეს ცათამდე,
დროშა მშვიდობის და გამარჯვების.

3

დღეს საქართველო ისევ ციმციმებს,
დიად ბრძოლაში გამოწრთობილი.
ვით მზეთუნახავ და ვით პირიმზე,
შენ, ძმათა შორის დგახარ ძმობილი.

და წინ მივიწევთ ერთი მიზნისკენ,
და გზას გვინათებს გრძნობა ნათელი,
ჩვენი მიღწევა, გაფრენა მზისკენ
ჩვენი სახელი, მათი სახელი.

ერთად შევაღებთ ლამაზ ალიონს,
ერთად დავიპყრობთ ახალ პლანეტებს,
ურჩ მდინარეებს დავიმორჩილებთ,
ბუმბერაზ მთებს მკერდით გავიტანთ.

და გავფრინდებით მაღლა, ცისაკენ,
იმედის ახალ კოშკებს ვაშენებთ,
რომ ჩვენ ცხოვრება უფრო აყვავდეს,
გაძლიერდეს და უფრო დამშვენდეს.

მიუწვდომელი გახდეს მტრისათვის,
აღარ ატირდეს აკვანში ბავშვი,
ვეღარ დაბრუნდეს წარსული ის დრო,
როცა წუხილი ჭარბობდა ხმაში.

1955

ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ...

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ...
წამი – მიდის,
წუთი – მოდის,
საათი – მიდის,
დრო მიდის – არ ჩერდება.
გული არა,
გული არა,
სხეული კი – გვიბერდება.

2021

სარჩევი

უკვდავ ადამიანთა პატივგება **5**
ფიქრთა ფიარად... ..... **7**

გული მწარედ მტკივა 9
მე მინდა მოვკვდე ლოგინში წყნარად 10
ქართველი ქალი 11
იესო 11
ეს საწუთრო ნელა ბადის 12
ო, როგორ მინდა... 13
სამშობლოს 13
მამა 14
მარად იცოცხლებ 15
თბილისი 16
* * * მიყვარს, დილით, როცა... 16
უფალს შევთხოვ 16
არის ფარსი 17
თხა ვიყიდე... 17
დიდგორი 17
როცა მე არ ვიქნები 18
* * * შენს საფლავზე აწვიმს, ათოვს... 18
* * * ქუჩა-ქუჩა, ღობე-ღობე... 19
დედულეთი 19
გზა 20
აღსდექ, ქართველო! 21
პასუხს ვეძებ 23
„შალიკუნა“ 24
,,ყოვლისშემძლე“ 24
საიმე არის?.. 24
მელია 25
გთხოვ დაფიქრდე 26
როცა გამოვცდი... 26
მამის ხსოვნა 26
ნუ შეგვეშინდება 27
პოეტი 28
მინდა ვთქვა 29
საქართველოს საღეგრძელო 30
ვერ დაგივიწყე 32
ეროვნული 32
სამშობლო ერთადერთია 33
ო, რა ყოფილა ახალგაგრდობა 33
მეც მქვია... 34
ჩემთვის არის... 34
ასარჩევი მაქვს... 34

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲘᲚᲘᲗ... 35
ᲗᲝᲕᲚᲘ... 35
ᲕᲘᲪᲘ ᲛᲔ... 35
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ... 36
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲥ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲑᲐ... 36
ᲕᲐᲘ-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ... 37
ᲒᲚᲐᲮᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ... 38
ᲠᲐ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲜᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ?.. 39
ᲘᲡᲔᲕ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲐ... 39
ᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲚᲐ ᲜᲔᲚᲐ... 41
ᲡᲐᲜᲐᲛ ᲬᲐᲕᲐᲚ... 42
* * * ᲛᲣᲖᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲓᲘᲡ... 42
ᲛᲐᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ – ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲛᲔᲠᲗᲘᲡ... 43
ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ... 43
ᲐᲥ ᲒᲕᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ.. 45
ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ... 46
ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲣᲘᲥᲠᲝᲑᲗ... 47
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ... 48
ᲐᲓᲐᲠ ᲣᲬᲧᲘᲐᲜ... 49
ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ... 50
ᲓᲠᲝᲐ – ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?.. 51
ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲣᲚᲘ... 51
ᲡᲣᲚᲝ, ᲒᲐᲣᲠᲘᲜᲓᲘ... 51
ᲒᲣᲚᲘ ᲩᲘᲕᲘᲡ... 52
ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲕᲣᲛᲒᲕᲔᲠ... 53
ᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ... 54
ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲝ ᲔᲜᲐᲕ... 55
ᲗᲕᲐᲚᲩᲕᲘᲢᲘᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ... 55
ᲛᲬᲐᲛᲡ... 56
ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ... 56
ᲛᲔ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ... 57
ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ... 57
ᲕᲘᲓᲠᲔ... 57
ᲐᲛᲐᲦᲐᲛ... 58
ᲕᲓᲐᲠᲓᲝᲑ... 58
ᲜᲣᲗᲣ... 59
ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲐ... 59
ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲒᲣᲚᲘ... 60
ᲣᲨᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲬᲘᲠᲐᲕᲡ... 60
ᲘᲪᲝᲓᲔᲗ!.. 61
ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲐ... 61
ᲡᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ... 62
ᲝᲗᲮᲘ ᲩᲘᲜᲐᲠᲘ... 62
ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ... 63
ᲛᲐᲠᲐᲓ ᲫᲓᲔᲠᲓᲔᲡ... 64
ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲛᲘᲕᲚᲘᲓᲐ... 65
ᲐᲠᲡᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲔᲨᲐᲚᲝᲡ... 65
„ᲠᲐᲡᲐᲪᲐ ᲒᲐᲡᲪᲔᲛ, ᲨᲔᲜᲘᲐ“... 66

ვუმზერ გეცას... 67
მე ამ ოცნების... 67
დალოცვილია ღმერთისგან 68
კარგი ვქენი... 68
სიგმარი 69
ფესვები 70
რას აკეთებ – რა ჰქენი! 71
ნულარ მოველით... 72
„კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს“ 73
აფხაზეთი– სამაჩაბლო... 74
გავა დრო და... 75
* * * სვი, ჭამე... 75
ლექსს არ მიწერო... 76
ვერავინ შეცვლის... 77
აღარ ვემდური 77
იქ კი... 78
მიყვარხართ თავზე მეტად 79
ჩვენ ჩვენს აღგილს დავიკავებთ 80
შეგონება 81
რად უნდა მშურდეს? 81
რეგო ბულიას 82
ვაკეთებ იმას... 82
გეცას წვდება 83
ო, რა კარგია... 83
ნეტავ ბევრჯერ... 84
დედა ერთია ქვეყნად 85
დარჩენილ დროის ხარ მომავალი 86
დილა იყო მშვიდი 87
ფიქრებით გეცას ვებღაუჭები 88
სამჭაჭა 89
მაინც მოველი... 89
მძორი დამრჩა 90
მუდამქამ ვებრძვი... 90
ცოტა მაცალე 91
მიწა 91
მაინც ვერ ავიცდენთ... 91
ღმერთისგან ნაბოძებია 92
ვინც დღეს არა ვართ 92
სად წამიხვალ... 92
მიქრის ეს წლები... 93
გულმა იცის... 93
გაივლი და... 94
ქალმა იცის ქალობა და.. 94
არ მაბადია... 95
მშვიდად უგზერს 95
არ მეშინია... 95
რა მოკლეა... 96

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ 96
ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐ 97
ᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ... 97
ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ... .98
„ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“ 98
ᲛᲔᲠᲐᲑᲘ! ᲒᲕᲘᲐᲓᲘ! 99
ᲗᲣᲠᲛᲔ 100
ᲘᲛ ᲬᲐᲠᲐᲡ ᲕᲒᲐᲕᲐᲠᲗ... 100
ᲡᲘᲑᲔᲠᲔ 101
ᲒᲐᲒᲐᲤᲮᲣᲚᲘ....102
ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲕᲘᲡᲘᲐ... 103
*** ᲐᲠᲪ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ… 103
ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲧᲠᲐ 104
ᲢᲐᲨᲡ ᲕᲘᲡ ᲨᲙᲠᲐᲕᲗ... 104
ᲨᲔᲜᲒᲔ ᲕᲨᲘᲥᲠᲝᲑ 105
ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲮᲕᲔᲓ... 105
ᲚᲘᲑᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲨᲐᲠᲕᲘᲐ 105
ᲓᲐᲒᲑᲔᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ....106
ᲒᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲓᲔᲠᲘᲡ 107
ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ 108
ᲒᲐᲘᲒᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ... 110
ᲛᲣᲜᲩᲘᲐ 111
ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲝᲬᲕᲘᲛᲓᲔᲡ... 112
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲩᲔᲜᲡ 113
ᲛᲔᲪᲝᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ 114
ᲤᲝᲗᲝᲚᲘ 115
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲩᲔᲛᲘᲐ 115
* * * ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲮᲐᲝᲓᲐ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲐ… 116
ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ 116
ᲓᲐᲘᲚᲝᲪᲝᲡ....117
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ 118
ᲛᲐᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ 119
ᲗᲣᲙᲘ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲔᲑ... 119
ᲠᲔᲜᲔ ᲡᲕᲐᲛᲡ?.. 120
„ᲙᲐᲠᲒᲘ ᲑᲘᲭᲘ“....121
ᲦᲛᲔᲠᲗᲙᲐᲪᲘ 122
ᲒᲕᲘᲐᲓᲡ....122

ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔ 123
ᲜᲘᲜᲘᲙᲝ 124
ᲪᲝᲢᲜᲔᲡ....124
ᲜᲐᲪᲐᲠᲥᲔᲥᲘᲐ....125
ᲤᲝᲗᲝᲚᲘ 125
ᲑᲣᲓᲔ 126
ᲩᲔᲛᲘ ᲤᲘᲡᲝ 127
ᲒᲐᲛᲗᲐᲠᲘ....128

თოვლი მოსულა 129
მოფრენილან ჩიტები 129
გაგაფხულის მილოცვა 130
მოვიდა მაისი... 131
დილა მაისის 132
სიმღერა 133

ძველი რვეულიდან

მეფე ბუნების 134
გუგდიდს 135
მოდი, მოდი, სადა ხარ? 136
*** შენი საგმირო საქმენი... 137
მომილოცნია ახალი წელი 137
ლამაგი ხარ, როგორც ვარდი 138
მე და მგია 139
მეგონა შენი... 140
მითხარ... 141
სიყვარულო, ძალას შენსას 142
ნეტავ ამიხდებოდეს 143
ვიცი 145
ვფიქრობ შენგე 146
ფიქრი ვოლგის პირას 146
ნაცნობი ტყე... 148
მუდამ ქდერდეს 148
შორს ხელები ალქირიდან 149
მიყვარს... 151
გლეხის სიმღერა 152
ჭადრის ფოთოლი 153
ვერასდროს დაგივიწყებ 154
შემოდგომა 155
გული პატარა 156
შენ ეს დიდება მაისმა გაჩუქა 156
თბილისს 157
შენ გეკუთვნის... 158
აფხანაური 159
მე ეს მიწა 160
წერილი სატრფოსადმი 161
გაგაფხული 162
მაინც გიმღერი... 163
სად აქვს სათავე 164
თბილისი 165
ახალგაგრდული 165
„ბათუმი“ მტკვარგე 166
ლელა (პოემა) 167
საქართველო 175
გული არა... 178

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

აბასთუმანი

ვწევარ ჩემთვის,
თვალებს ვახელ.-
თავქვე მიდევს სასთუმალი.
მენატრება,
შენი სახე
და ძველი აბასთუმანი.

მენატრება
მის ბორცვები,
ღელე - პატარა უმპია.
ის მუზაა,
ჩემ ოცნების,
რაც ფიქრებში განმიცდია,

მისი მწვანე
მინდორ ველი,
წითელ-ყვითელ ლურჯ ფერები...
ვით სალოცავს
მიდევს ხელი,
მას ვეტრფი და ვეფერები.

გურამ მოლაშხია

ISBN 978-9941-33-269-2